

პრესომბუდსმენი A4



აშშ-ს ჯარები ერაყში გამარჯვებამდე დარჩებიან A5



ქოლას ახალი თეატრი A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 21 ნოემბერი, 2005 წელი. №259 (1119) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### თავდასხმის ობიექტი - ბიზნესმენის შვილი

18 ნოემბერს საღამოს, ტყვიავში არსებული, ხილის კონცენტრატების ქარხნის "ანტონი და კომპანიის" მფლობელის, გივი ჯამელაშვილის შვილს უცნობი პირები დაესხნენ თავს. თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე დაკავებულია.

A2

## ამბები

### „ინსულინის" სახელმწიფო პროგრამა უპრობლემოდ გაგრძელდება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ მოსახლეობის ინსულინით უზრუნველყოფის პროგრამა მომავალ წელს, შეუფერხებლად გაგრძელდება.

A2

## უცხოეთი

### ცრემლიანი გაცილება

ჰანოვერში შაბათს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის გერჰარდ შრიოდერის საზეიმო გაცილება გაიმართა.

A5


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 21/11 | 22/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | 14 |
| ქუთაისი | 17 | 12 |
| სოხუმი | 16 | 6 |
| დმანისი | 10 | 1 |
| გორი | 12 | 6 |
| ონი | 11 | 6 |
| ზუგდიდი | 18 | 12 |
| ახმეტა | 14 | 14 |
| გაგრა | 13 | 6 |
| სამტრედია | 19 | 12 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.0977 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.0714 |
| რუბლი | 0.0622 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პრესომბუდსმენი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# გმირი დაბრუნდა



ინტერპრესნიუსი

გმირის წინაშე მუხლმოდრეკილი საქართველო.

თვითმფრინავმა, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გუშინ, 14 საათსა და 40 წუთზე დაეშვა, პარიზიდან თბილისში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი ჩამოასვენა. საქართველოს ეროვნული გმირის ანდერძი გარდაცვალებიდან 75 წლის შემდეგ აღსრულდა. ნეშტის გადმოსვენების ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ახლობლები, ჩოხოსანთა და თავადაზნაურთა საზოგადოების წარმომადგენლები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მოულოდნელი ვიზიტი

გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რამდენიმე ვიზიტი გამართა, საქართველოს 19 ნოემბერს, მოულოდნელად ეწვია. გენერალური მდივნის ამ აღმოსავლური ტურნეს ფარგლებში დაგეგმილი ვიზიტი ირანში არ შედგა. სამაგიეროდ, ეგვიპტის, საუდის არაბეთის, ტუნისისა და პაკისტანის მონახულების შემდეგ, ნიუ-იორკში მიმავალი გენერალური მდივანი თბილისში შეჩერდა და შეხვედრა გამართა საქართველოს პრეზიდენტთან.

გაგრძელება A3 გვერდზე



ინტერპრესნიუსი

ბრიფინგი ღია ცის ქვეშ.

# საქართველო საქართველოს უჩივის


ოთარ ქირია
ჟენევიდან


**"საქაერონავიგაციის" გარშემო ატეხილი სკანდალის კვალი, შვეიცარიისა და ნიდერლანდების შემოვლით, ისევ საქართველოში ბრუნდება. შესაძლოა, მალე დასახელდეს იმ ქართველ ჩინოვნიკთა გვარები, რომელთა გამოც ქვეყნის ნავიგაცია გაკოტრების, ხოლო ავიაცია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარბელაშვილი ერთდროულად ჟენევასა და როტერდამში ჩივის. რატომ იწმენდს ხელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ადამიანზე, რომელმაც თავი თვითმკვლელობით დაასრულა და ვის აძლევს ხელს ის ფაქტი, რომ საქართველო თავადვე უჩივის საქართველოს?**

გაგრძელება A3 გვერდზე



შენობა, სადაც "სიერა ოილი" ინკოგნიტოდ არსებობს.

# სეპარატისტებს პოლიტპატიმრები ცხვირწინ ააცალეს

*მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ, ედუარდ კოკოითის პირად პატიმრებად წოდებული ძმები ქარქუსოვების ციხიდან გაქცევის გამო, ძალოვანი სტრუქტურები ფეხზე დააყენა, ქართულმა სპეცრაზმმა უპრობლემოდ მოახერხა ყოფილი პოლიტპატიმრების საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.*

**"ისინი სამშობლოში იმყოფებიან",** - განაცხადა გუშინ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომელსაც არ დაუმალავს, რომ პირადად ხელმძღვანელობდა ჯემალ და იან ქარქუსოვების ქართულ მხარეზე გადმოყვანის ოპერაციას:

**"ჩვენ "ოსი კოლეგები" დაგვიკავშირდნენ, მოგვთხოვეს, გზები გადაგვეკეტა და გაქცეულები დაგვეკავებინა. პარალელურად დაგვიკავშირდნენ გაქცეულების ახლობლები. მათ იმ საშიშროების შესახებ გვაცნობეს, რაც ძმებ ქარქუსოვებს დაკავების შემთხვევაში ელოდათ – არ იყო გამორიცხული მათი ლიკვიდაციაც. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ისინი ციხეში პოლიტიკური შეხედულებების გამო აღმოჩნდნენ. ახლა კი არ ვაპირებთ, ეს ხალხი კვლავ არაკანონიერ შეიარაღებულ ბანდფორმირებებს ჩავუგდოთ ხელში",** - ამგვარი კატეგორიული განცხადებების მიუხედავად, მერაბიშვილს არ დაუდასტურებია ინფორმაცია, რომ ძმებ ქარქუსოვებს ციხიდან გაქცევაშიც ქართული სპეცსამსახურები დაეხმარნენ, თუმცა კი თქვა, რომ ეს ოპერაცია ექვსი თვის მანძილზე იგეგმებოდა.

როგორც ირკვევა, ქარქუსოვების გადმოყვანა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების დამაკავშირებელი შემოვლითი გზის მეშვეობით მოხერხდა, ამჟამად ისინი უკვე თბილისში იმყოფებიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსები პანკისელ ჩეჩნებს ეპატიჟებიან

*პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი დევნილების სამშობლოში დაბრუნების მიზნით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში რუსეთის დელეგაცია სოფელ დუისში უკვე მესამედ ჩადის. მართალია, ჩეჩნეთში დაბრუნების სურვილი ამ დროისთვის სამასმა დევნილმა გამოთქვა, მაგრამ მხოლოდ სამოცდაათი მათგანის განცხადება დაკმაყოფილდა. უმრავლესობა, უმძიმესი სოციალური პირობების მიუხედავად, რუსეთის მიერ შეთავაზებულ პირობებს არ ენდობა და მესამე ქვეყანაში გადასვლას ითხოვს.*


ზვიად რუაძე
კახეთიდან


შარიმოვების რვასულიანი ოჯახი, ექვსი წელია, რაც სოფელ დუისში, ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს. როგორც თვითონ ამბობენ, პირობები აუტანელია. შარიმოვების ოჯახი სწორედ ერთ-ერთია იმ სამასიდან, რომლებსაც გროზნოში დაბრუნება სურთ. **"მე ქალი ვარ და გროზნოში წასვლას მარტო ვერ შევძლებ, თუმცა ამის დიდი სურვილი მაქვს,"** - ამბობს შარიმოვების დიასახლისი, რომლის მოთხოვნაც დაკმაყოფილდა და იგი საქართველოს სულ მალე დატოვებს.

რუსეთის საემიგრაციო ფედერალური სამსახურის წარმომადგენელი ალექსადრ როსტოვცევი აღნიშნავს, რომ გროზნოში დაბრუნება ნებაყოფლობითია.

**"ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში შემოსული 300 მსურველის განცხადებიდან ამ დროისთვის 70 დავაკმაყოფილეთ, და სულ მალე ეს ხალხი სამშობლოს დაუბრუნდება. იქ მათ დროებითი საცხოვრებელი ფართი გამოეყოფათ და კომპენსაციის სახით ყოველთვიურ დახმარებას მიიღებენ. ჩვენ მათი უსაფრთხოების გარანტიებსაც ვიძლევით, ამ დროისთვის იქ სიმშვიდეა და ათასობით ადამიანს ცხოვრების ნორმალური პირობები აქვს,"** - აცხადებს ალექსანდრ როსტოვცევი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# „ერთგულებას შევეწირე", - აცხადებს პატიმრობაში მყოფი ყოფილი გამგებელი

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელს ავთანდილ დავითაძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეეფარდა.

ავთანდილ დავითაძე სამი დღის წინ გენერალურ პროკირატურაში მოწმის სტატუსით დაიბარეს და იქიდან პირდაპირ წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე თანამდებობრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენების მუხლით არის აღძრული. საქმე შეეხება დავითაძის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში დიდი დიღმისა და ვაკის ტერიტორიებზე არსებული სტუდქალაქის საცხოვრებელი ფართობების მოქალაქეებზე უკანონოდ გაცემას.

გაგრძელება A2 გვერდზე


24 საათი

ნარკომანიის წინააღმდეგ



ფოკუსი ბანკი TBC ბანკი ნარკომანიის წინააღმდეგ

## "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" - ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ

*"საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მდგომარეობა დღითიდღე უარესდება", - აცხადებენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრები და საპატრულო პოლიციის მიერ მოქალაქე გიორგი მიქიაშვილის ცემის ფაქტს აპროტესტებენ. საქმე ისაა, რომ ცემის შედეგად, გიორგი მიქიაშვილს ფსიქიკური პრობლემები შეექმნა.*

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ინფორმაციით, გიორგი მიქიაშვილს პოლიციამ ორჯერ - ჯერ დაკავებისას, შემდეგ კი წინასწარი დაკავების იზოლატორში სცემა. ცემის შედეგად საჭირო გახდა მისი ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაყვანა.

გიორგი მიქიაშვილის ცემის ფაქტი სასამართლო პროცესზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემაც აღიარა, თუმცა, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს ეს მდგომარეობა მოსამართლემ მხედველობაში მაინც არ მიიღო.

**"მოქალაქის ცემით საპატრულო პოლიციამ აშკარად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსი, პოლიციის შესახებ კანონი, ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი. ასევე დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია, გაეროსა და ევროსაბჭოს კონვენციები წამების შესახებ. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ დღემდე ფიზიკური დაზიანების ხარისხის დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ხორციელდება",** - აცხადებენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში". ორგანიზაციის წევრები გიორგი მიქიაშვილის უფლებების დასაცავად გენერალურ პროკურატურას მიმართავენ და იმ პოლიციელების დასჯას მოითხოვენ, რომლებიც გიორგი მიქიაშვილს სასტიკად გაუსწორდნენ. ასოციაციის წევრები მართლმსაჯულებასაც მიმართავენ და მძიმე მდგომარეობის გამო, მიქიაშვილის პატიმრობიდან სასწრაფოდ გათავისუფლებას ითხოვენ.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრები გორელი ბიზნესმენის გივი ჯამელაშვილისა და მისი ოჯახის წევრებზე განხორციელებულ ტერორზეც საუბრობენ.

**"გივი ჯამელაშვილის შვილს თავს დაესხა სამი შეიარაღებული პირი, რომლებმაც მას სასტიკად სცემეს და დაჩოქებას აიძულებდნენ. ინციდენტის ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციამ ერთ-ერთი თავდამსხმელი დააკავა. ის შიდა ქართლის გუბერნატორთან მიხეილ ქარელთან დაახლოებული პირია",** - განმარტავენ ასოციაციის წევრები.

ჩვენი ინფორმაციით, დაკავებული კახა ხახიაშვილი დუმილის უფლებას იყენებს და მომხდარზე კომენტარს არ აკეთებს. თავად ბიზნესმენი გივი ჯამელაშვილი კი აცხადებს, რომ თავდასხმა შიდა ქართლის გუბერნატორის მიხეილ ქარელის მიერ იყო ორგანიზებული. საქმე ისაა, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, შიდა ქართლში უკვე მეორე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, სადაც დაზარალებულად გორელი ბიზნესმენი გივი ჯამელაშვილია ცნობილი. გივი ჯამელაშვილმა, ერთი კვირის წინ მომხდარი ინციდენტის შემდეგაც თავდასხმის ორგანიზებაში შიდა ქართლის გუბერნატორი დაადანაშაულა.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სამართალდამცველებისგან მომხდარზე სასწრაფოდ რეაგირებას და საქმის ობიექტურ გამოძიებას მოითხოვს.

*24 საათი*

## "საქართველოს ბანკის" მორიგი შესყიდვა - სადაზღვევო კომპანია "ევროპეისი"

*სს "საქართველოს ბანკმა" და მისმა შვილობილმა სადაზღვევო კომპანია "ბისიაი"-მ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სადაზღვევო კომპანიის "ევროპეისის" აქციათა 100 პროცენტის შესყიდვის შესახებ. "საქართველოს ბანკმა" "ევროპეისის" შეძენით სადაზღვევო ბაზრის 7 პროცენტი მიიღო.*



**"იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ წარმატებით გავართვით თავი აქამდე შესყიდული კომპანიების დროულ ინტეგრაციას, "თბილუნივერსალბანკის" და "ბისიაის" ჩათვლით, დარწმუნებული ვარ, რომ "ბისიაი" შეძლებს, "ევროპეისის" ინტეგრირება დაგეგმილ ვადაში დაასრულოს. ეს ტრანზაქცია კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს საფინანსო სექტორის კონსოლიდაციისკენ,"** - აცხადებდა "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი ლადო გურგენიძე ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალზე.

2005 წლის იანვარი-სექტემბრის თვეების სტატისტიკის თანახმად, საქართველოს სადაზღვევო ბაზრის 15 პროცენტს "ბისიაი" აკონტროლებს, ხოლო შვიდი პროცენტი "ევროპეისს" უკავია. შედეგად, გარიგების შემდეგ, "საქართველოს ბანკი" სადაზღვევო ბაზრის 22 პროცენტს გააკონტროლებს. ლადო გურგენიძის განცხადებით, აღნიშნული გარიგება "საქართველოს ბანკს" 2,6 მილიონი ლარი დაუჯდა.

**"საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სწრაფი ზრდის ტემპისა და ბაზარზე "ევროპეისის" დინამიური პოზიციის გათვალისწინებით, ეს ტრანზაქცია კიდევ ერთი მაგალითია ჩვენი გუნდის დისციპლინირებული და საპასუხისმგებლო ტრანზაქციული ფილოსოფიისა,"** - აღნიშნა "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილემ ირაკლი გილაურმა.

როგორც თავად "ბისიაის" გენერალურმა დირექტორმა რამაზ კუკულაძემ განაცხადა, ეს შესყიდვა მის კომპანიას შესაძლებლობას მისცემს კიდევ უფრო გაზარდოს წილი სწრაფად მზარდ ქართულ სადაზღვევო ბაზარზე. **"მიმდინარე წლის იანვრიდან ოქტომბრამდე, ჩვენმა საბაზრო წილმა 15 პროცენტი შეადგინა, რაც "ევროპეისის" 7-პროცენტიან საბაზრო წილთან ერთად საშუალებას გვაძლევს, ქართულ სადაზღვევო კომპანიათა შორის მეორე ადგილი დავიკავოთ. მივესალმები "ევროპეისის" კვალიფიციური თანამშრომლების ჩვენს გუნდთან შემოერთებას. დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ჩვენ შევძლებთ, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მომსახურება, რაშიც ორივე კომპანიამ უკვე მოიპოვა აღიარება,"** - აღნიშნა "ბისიაის" გენერალურმა დირექტორმა.

"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი ლადო გურგენიძე "ევროპეისის" კლიენტებს შეუფერხებელ მომსახურებას სთავაზობს და აცხადებს, რომ მათ მიერ "ევროპეისის" შეძენა მომსახურებაში პრობლემებს არ შექმნის.

კიდევ ერთი სიახლე: "საქართველოს ბანკმა" კორპორატიული ობლიგაციების მეორე ტრანშით, 501,000 ლარის ღირებულების ობლიგაციების წარმატებით განთავსების შესახებ განაცხადა. საპროცენტო განაკვეთი წლიური 11 პროცენტით განისაზღვრა, სარგებლის გადახდა კი წელიწადში ორჯერ განხორციელდება. "საქართველოს ბანკის" ინფორმაციით, ობლიგაციების დაფარვის ვადა 2007 წლის 2 სექტემბერს უწევს.

**"მოხარული ვარ, რომ ჩვენი ობლიგაციების მფლობელების ბაზა დივერსიფიცირებულია - მეორე ტრანშით გამოშვებული ობლიგაციების 38 პროცენტი ფიზიკურმა პირებმა შეისყიდეს. ასევე, მივესალმები ობლიგაციების პირველ არარეზიდენტ ინვესტორებს, რომელთაც ტრანშის ერთი მესამედი შეიძინეს,"** - განაცხადა ლადო გურგენიძემ.

ამავე დროს, საქართველოს ბანკის" საინვესტიციო საბანკო შვილობილი კომპანია "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითის" აგრძელებს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ობლიგაციებით ვაჭრობასა და მათ კოტირებას. აღნიშნული კომპანია ასევე მონაწილეობს სხვა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში, როგორიც არის, მაგალითად, "პროკრედიტბანკის" ახლადემიტირებული ობლიგაციები.

ცნობისათვის, მიმდინარე წლის სექტემბრიდან დღემდე "საქართველოს ბანკის" მიერ განთავსებული ობლიგაციების მთლიანი მოცულობა 1 მილიონ ლარს აღემატება.

## ტკბილი სიცოცხლე

### "ინსულინის" სახელმწიფო პროგრამა უპრობლემოდ გაგრძელდება

თამარ მაისურაძე

ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამას, რომელიც დიაბეტით დაავადებულ მოსახლეობას ინსულინით უზრუნველყოფს, მომავალი წლის გაზაფხულზე გასდის ვადა. ამდენად, სახელმწიფო ვალდებულია, "ჯანმრთელობის შესახებ კანონის" №52 მუხლის თანახმად, ინსულინდამოკიდებულები მედიკამენტით შეუფერხებლად უზრუნველყოს, რადგან ამ მედიკამენტის მიღების გარეშე, დიაბეტით დაავადებული ადამიანი, მაქსიმუმ, 5 დღე ცოცხლობს.

საქართველოში ინსულინს 16 ათას 600 ადამიანი მოიხმარს. რაც შეეხება ბავშვებს, 1 ათას 200 ბავშვია ინსულინზე დამოკიდებული. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მომავალი წლის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს. ერთი შეხედვით, არც ზემოთნახსენები პროგრამის გასაგრძელებლად არ უნდა შეიქმნას რაიმე პრობლემა, თუ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კეთილი ნება იქნება.

პრობლემის ალბათობა კი ძვირადღირებული მედიკამენტის შეძენისას შეიძლება შეიქმნას. საქართველოს ხელისუფლებამ მოსახლეობის იმ ნაწილის ინსულინით უზრუნველყოფა, ვისთვისაც ამ მედიკამენტის მიღებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, 2000 წლიდან დაიწყო. ჯანდაცვის მაშინდელ მინისტრს ავთო ჯორბენაძესა და დანიურ ფირმა "ნოვონორდისკის" წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები ადამიანის ინსულინს მიიღებდნენ. წამლის უფასოდ დარიგების გარდა, ეს ფაქტი იმითაც იყო სასიამოვნო, რომ "ნოვონორდისკის" მიერ წარმოებული წამალი ადამიანის ინსულინი გახლდათ და არა ცხოველური, რომელიც გაცილებით დაბალი ხარისხისაა. მაშინ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულმა დანიურმა ფირმამ საქართველოში ჰუმანიტარული აქცია განახორციელა და ჩვენს მთავრობას ერთი წლის მარაგი უფასოდ გადასცა. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კი ინსულინის შესყიდვა ორჯერ ნაკლებ ფასად ხდებოდა. მოსახლეობა წამალს უფასოდ იღებდა, ფასს კი ქართული მხარე "ნოვონორდისკს" უხდიდა. ამ ფაქტიდან გამომდინარე, საქართველო მსოფლიოში მეხუთე ქვეყანა გახლდათ, რომელმაც მოსახლეობის მაღალი ხარისხის, ადამიანის ინსულინით უზრუნველყოფა შეძლო.

როგორც პარლამენტის მაშინდელი წევრი, "დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის" ხელმძღვანელი კობა ამირხანაშვილი ამბობს, ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფომ 18 მილიონი დოლარის ეკონომია გააკეთა. დანიური ფირმის "დათმობაზე" წამოსვლა იმით იყო განპირობებული, რომ 5-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ საქართველო კვლავ "ნოვონორდისკის" ნაწარმს უკვე რეალურ ფასად იყიდდა, ყველანაირი "დათმობის" გარეშე.

"ნოვონორდისკისთვის" მიცემული "პირობა" დაირღვა. სავარაუდოდ, მომავალ გაზაფხულზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას რამდენიმე ფირმა მიიღებს.

"დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის" ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დიაბეტით დაავადებულთა საკითხი პრიორიტეტად უნდა გამოაცხადოს. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორიც - იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ინსულინის განახევრებული ფასით ყიდვას ველარ შეძლებს, გაცილებით დიდი თანხის გადახდა მოუწევს. ამირხანაშვილის აზრით, ტენდერში გამარჯვებულ ფირმასთან კვლავ მრავალწლიანი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს, რათა სახელმწიფოს წამლის მიღების გარანტია ჰქონდეს.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა შეიქმნა, ქვეყანას უნდა ჰქონდეს წამლის მარაგი. ამირხანაშვილი ამბობს, რომ ამ მხრივ, ბავშვებისა და მოზარდების პრობლემა მოხსნილია, უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის კი 4 თვის მარაგი არსებობს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ მოსახლეობის ინსულინით უზრუნველყოფის პროგრამა მომავალ წელს, შეუფერხებლად გაგრძელდება. **"სამინისტროს აქვს შესაბამისი სტატისტიკა და მონაცემები იმისა, თუ რამდენი ადამიანია ქვეყანაში ინსულინმომხმარებელი. რაც შეეხება ფასს, არც ამის პრობლემა იქნება. მოხდება იმ თანხის სრული დაფარვა, რაც სახელმწიფოს მხრიდან იქნება გადასახდელი. ამდენად, ამ კუთხით არავითარი პრობლემა არ შეიქმნება,"** – ასეთი გახლავთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური პასუხი, რომელიც პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მოგვაწოდა.

კობა ამირხანაშვილს მიაჩნია, რომ ინსულინის მომხმარებელთა იდენტიფიკაცია უნდა მოხდეს. კანონში "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" წერია, რომ სახელმწიფომ პაციენტი მედიკამენტებით უნდა უზრუნველყოს, თუმცა კონკრეტულად, ინსულინით უზრუნველყოფა მითითებული არსად არის. იდენტიფიკაციის აუცილებლობა იმით აიხსნება, რომ დიაბეტით დაავადებულთა არცთუ მცირე ნაწილი, რომელსაც აბების მიღება შეუძლია, მაინც ნემსს იკეთებს, რადგან ინსულინი უფასოა, ხოლო აბები იაფი ნამდვილად არ ღირს. არადა, ორგანიზმში შაქრის დასარეგულირებლად მისაღები აბები "ნაჩუქარ" ინსულინზე გაცილებით იაფია. ეს საკითხი ყურადსაღებია. თან, ორი დადებითი მხარე აქვს: თუ ინსულინისა და აბების მომხმარებელთა დიფერენციაცია მოხდება, თავად სახელმწიფოსაც ნაკლები თანხის გადახდა მოუწევს; და ეს ცვლილება დიაბეტით დაავადებულთა ჯანმრთელობაზეც სასიკეთოდ აისახება, რადგან, როგორც ექიმები ამბობენ, თუ დაავადების დარეგულირება აბებით არის შესაძლებელი, ამ შემთხვევაში ინსულინის ნემსის გაკეთება ადამიანის ორგანიზმს ზიანს აყენებს.

## „ერთგულებას შევეწირე", - აცხადებს პატიმრობაში მყოფი ყოფილი გამგებელი

პირველი გვერდიდან

აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაკავებულის ადვოკატების მოთხოვნა, რომლითაც ისინი დავითაძისთვის უფრო მსუბუქი ფორმის - გირაოს შეფარდებას მოითხოვდნენ. ადვოკატები სასამართლოს გირაოს სახით 15 ათას ლარს სთავაზობდნენ. თუმცა, მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა, რომლებიც იმ საფუძვლით, თითქოს მოსალოდნელი სასჯელის შიშით შესაძლოა დავითაძე გამოძიებას მიმალვოდა, წინასწარ სამთვიან პატიმრობას მოითხოვდნენ.

დარბაზში მოსამართლის ბრძანების გამოცხადებას დამსწრეთა და დავითაძის მხარდამჭერთა მხრიდან ხმაური და სასამართლოს წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი რეპლიკები მოჰყვა. როგორც დავითაძემ სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, მას თავის დროზე არანაირი თანამდებობა არ მოუთხოვია. მთავრობამ იგი საკუთარი ინიციატივით დანიშნა ყველა თანამდებობაზე. ის არ აპირებს გამოძიებისგან მიმალვას და მხოლოდ პრეზიდენტის ერთგულებისთვის ისჯება.

**"პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მე მენდო, თუმცა არ მენდობა მისი გარემოცვა. ერთპიროვნულად არასოდეს ვიღებდი გადაწყვეტილებებს და დადგენილების მიღებას გამგეობის ყველა წევრთან შეთანხმების საფუძველზე, კენჭისყრით ვახორციელებდი,"** - განაცხადა დავითაძემ.

დავითაძის თქმით, მისი დაპატიმრება თბილისის საკრებულოს წევრს ომარ აბულაძეს აწყობს. ვინაიდან, როგორც დავითაძემ აღნიშნა, უშიშროების შესაბამისი სამსახურებიდან აბულაძეს გარკვეული დავალებები აქვს მიღებული და ერთ-ერთი ასეთი დავალება დავითაძის პატიმრობაში ყოფნაა.

მოსამართლის ბრძანების გამოცხადების შემდეგ, დავითაძემ განაცხადა, რომ იგი ერთგულებას შეეწირა. მას იმედი აქვს, რომ პროკურატურა სისხლის სამართლის საქმეს ძირფესვიანად შეისწავლის და სიმართლეს გამოიკვლევს. დაკავებულის ერთ-ერთმა ადვოკატმა დავით ხაჟალიამ კი განაცხადა, რომ იგი ბრძანებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს და ზემდგომ ინსტანციასაც გირაოს შეფარდებას სთხოვს. ადვოკატის თქმით, გირაოს თანხა 15 ათასი ლარი არ გაიზარდება. როგორც ხაჟალიამ განაცხადა, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, სასამართლოსაგან სხვა შედეგს არც მოელოდა, თუმცა მას სამართლიანი მართლსაჯულების იმედი მაინც აქვს.

*24 საათი*

## თავდასხმის ობიექტი - ბიზნესმენის შვილი

*18 ნოემბერს საღამოს, ტყვიავში არსებული, ხილის კონცენტრატების ქარხნის "ანტონი და კომპანიის" მფლობელის, გივი ჯამელაშვილის შვილს უცნობი პირები დაესხნენ თავს. თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე დაკავებულია. თავად ბიზნესმენი, რომელიც მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს ქარხნისთვის ზარალის მიყენებაში და მასზე თავდასხმის ორგანიზებაში ადანაშაულებს, შვილზე თავდასხმის ფაქტსაც ხელისუფლების ზეწოლას უკავშირებს.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

ანტონ ჯამელაშვილს თავს სამი ნიღბიანი დაესხა.

**"თავში იარაღი ჩამარტყეს და მუხლებით დავეცი მიწაზე. ამ დროს ერთ-ერთი თავდამსხმელი მანქანაში ჩაჯდა და დაიყვირა: გასაღები, გასაღებიო. გასაღები მე მეჭირა ხელში. ჯერ პულტით ჩავკეტე მანქანა, შემდეგ გადავუგდე გასაღები გარეთ დარჩენილებს. ამასობაში კი სახლში შევვარდი. პულტი ხელში ჰქონდათ, მაგრამ მანქანის კარი ველარ გააღეს და მანქანის მინა ჩაამტვრიეს. მე ვინც იარაღი ჩამარტყა, ვიცანი, მაგრამ შემეშინდა, რომ მესროდნენ და სახელი არ დავუძახე,"** - ჰყვება ინციდენტის დეტალებს ანტონ ჯამელაშვილი.

**"ამდენი დამთხვევა, უბრალოდ, შეუძლებელია. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ყველაფერი მას შემდეგ ხდება, რაც მე არ გავჩუმდი... ჩემს შესახებ ინფორმაციებს ვაწვდი ადამიანის უფლებების დამცველ ქართულ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს,"** – ამბობს დაზარალებულის მამა გივი ჯამელაშვილი.

გორის შინაგან საქმეთა სამმართველომ ანტონ ჯამელაშვილზე თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე, კახა ხიხალიშვილი 18 ნოემბრის საღამოსვე დააკავა.

**"გორის სამმართველომაც და პატრულმაც კარგად იმუშავა და ერთ-ერთი თავდამსხმელის დაკავება მომხდარიდან რამდენიმე წუთში შეძლო. ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ: ამოცნობა მაშინვე ჩატარდა და ანტონ ჯამელაშვილმა დაადასტურა, რომ დაკავებული მასზე განხორციელებულ თავდასხმაში მონაწილეობდა,"** - განაცხადა შსს შიდა ქართლის პოლიციის სამმართველოს პრესსამსახურის უფროსმა ეთერ სადაღაშვილმა.

გივი ჯამელაშვილი ვარაუდობს, რომ თავდასხმა მასზე მზადდებოდა, რადგან აღნიშნული ავტომობილით ყოველთვის ის მოძრაობს. **"ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოახდინოს ამ ფაქტის შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე იძულებული ვიქნები, მომხდართან დაკავშირებით უცხო ქვეყნების საელჩოებს მივმართო და პოლიტიკური თავშესაფარი მოვითხოვო,"** - აცხადებს გივი ჯამელაშვილი.

მიხეილ ქარელი კომენტარს არ აკეთებს.

## ახალი უფროსი ახალ კადრებს არჩევს

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ფინანსური პოლიციის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ლევან კიკნაველიძემ ამ თანამდებობაზე აჭარის ფინანსური პოლიციის უფროსის პოსტიდან გადმოინაცვლა, თუმცა მანამდე იგი ქუთაისის საპასპორტო ბიუროსაც ხელმძღვანელობდა. **"ამაზე არ მიფიქრია, დამაწინაურეს თუ - პირიქით. სამმართველოს უფროსი ვიყავი აჭარაშიც და აქაც ეს თანამდებობა მაქვს, თუმცა იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი აჭარაზე დიდი რეგიონი გამოდის. ქუთაისში იმიტომ გამომიშვეს, რომ ხელმძღვანელობამ ნდობა გამომიცხადა. პირდაპირ მითხრეს, რომ აქ სიტუაცია სტანდარტებს უნდა დაექვემდებაროს. ყველაფერს ისიც დაემთხვა, რომ ქუთაისელი ვარ და ამაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, როცა შენს ქალაქში აკეთებ საქმეს?! პირველ რიგში, ბევრი საკადრო საკითხია გადასაწყვეტი,"** - ამბობს ლევან კიკნაველიძე "24 საათთან" საუბარში.

ფინანსური პოლიციის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოში ახალი ხელმძღვანელის მოსვლის შედეგად გამომძიებლის და ოპერტიული მუშაკის რვა ვაკანსია გაჩნდა. კიკნაველიძე ამბობს, რომ გამომძიებლებმა თანამდებობები საკუთარი პატაკების საფუძველზე დატოვეს. ხოლო მათი შემცვლელები გასაუბრების წესით მიიღებიან.

ფინანსური პოლიციის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს ყოფილი უფროსი იოსებ გაბრიჩიძეც ორიოდე კვირის წინ საკუთარი პატაკით გამოემშვიდობა თანამდებობას, როცა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ საბაჟო წესის დარღვევის მუხლით დაკავებული იმერეთის სამმართველოს ოპერატიული თანამშრომელი ტრისტან ედიბერიძე დააკავეს. ედიბერიძეს სასამართლომ უკვე შეუფარდა წინასწარი სამთვიანი პატიმრობა აღმკვეთი ღონისძიების სახით. მაშინ ამ ფაქტის გამო, გაბრიჩიძის მსგავსად, თანამდებობა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, დასავლეთ საქართველოს კურატორმა ზაზა მეფარიშვილმაც დატოვა. ჯერ-ჯერობით, საკუთარ პოსტს ბიულეტინზე ყოფნით ინარჩუნებს კიკნაველიძის მოადგილე ზვიად მოსეშვილი.

**"ბიულეტინიდან რომ დაბრუნდება, ვერ გეტყვით, რა ბედი ეწევა. წინასწარ ვერც იმას ვიტყვი, რას შევცვლი ამ უწყებაში ან გავაკეთებ, რადგან ყველაფერი ოპერატიულ მუშაობასა და ინფორმაციაზეა დამოკიდებული. შესაცვლელი კი ბევრია. ისე, მთლიანად საქართველოშია გამოსავლენი ფინანსური დარღვევები,"** - აცხადებს ლევან კიკნაველიძე.

იმერეთის ფინანსური პოლიციის ახალმა უფროსმა პირველი ფინანსური დანაშაული "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ტყიბულის სერვის-ცენტრში აღმოაჩინა. აღნიშნული სერვის-ცენტრის ხუთი თანამშრომელი 3000 ლარის მითვისების გამო დააკავეს. დაკავებულებს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის II ნაწილის "გ" და "დ" პუნქტებით წარედგინათ, რაც 2-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

### მოკლედ

#### მიხეილ სააკაშვილი ზუგდიდში ჩავიდა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ზუგდიდში პირველად სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის ახლად გარემონტებული შენობა გახსნა. მოგვიანებით კი, საქართველოს პრეზიდენტი ზუგდიდის ცენტრში გავიდა და მოსახლეობას შეხვდა.

"ვერ ვფარავ ემოციებს, იმიტომ, რომ ჩვენ ორი წლის წინ, კოკისპირულ წვიმაში აქედან დავიწყეთ საქართველოს გათავისუფლება. დღეს კი კარგი ამინდია და წელში გამართულ ხალხს ვხედავ, და მე ეს ძალიან მახარებს," - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგრამ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ის პრობლემები, რომელიც ქვეყანაში არსებობს, დროულად მოაგვაროს. "მალე მოვა ის დრო, როცა საქართველოს გამთლიანებას დავიწყებთ," - განაცხადა პრეზიდენტმა. სააკაშვილის თქმით, მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი ზუგდიდია.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის მერ გიგი უგულავასთან და სამეგრელო-ზემო სვანეთის პრეზიდენტის რწმუნებულ ზაზა გოროზიასთან ერთად ზუგდიდის ცენტრში ახლად დამონტაჟებული შადრევანი გახსნა. მოგვიანებით, პრეზიდენტმა ზუგდიდის ცენტრში ხანდაზმულთათვის ახლად აშენებული უფასო სასადილო მოინახულა. მოხუცებს საქართველოს პრეზიდენტმა იმის პირობა მისცა, რომ უახლოეს მომავალში ზუგდიდში კიდევ ბევრი უფასო სასადილო აშენდება.

"თქვენ ჩვენი ქვეყნისთვის ბევრი რამ გააკეთეთ და ჩვენი ქვეყანაც გაგიკეთებთ იმას, რომ ელემენტარული, კვების პრობლემა მოგეხსნებათ. უახლოეს ხანში უფრო მეტი უფასო სასადილო გაიხსნება," - განაცხადა მოხუცებთან შეხვედრისას სააკაშვილმა.

ზუგდიდში, დადიანების სასახლეში, მიხეილ სააკაშვილმა რეგიონების რწმუნებულების ანგარიში ჩაიბარა.

"გუბერნატორებთან შეხვედრა რეგიონებში ტრადიციად იქცა. გასულ წელს აჭარაში ჩავიბარე ანგარიში, წელს - სამეგრელოში, მომავალში კი სხვა რეგიონში ჩავიბარებ," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი განცხადებით, სამეგრელო ერთ-ერთი ყველაზე დინამიური მხარეა საქართველოში. მისი თქმით, ძველი ხელისუფლების დროს სამეგრელოს რეგიონიდან, ძირითადად, ისმოდა, რომ ინგრეოდა ინფრასტრუქტურა, იტაცებდნენ მოსახლეობას და აწიოკებული იყო ხალხი.

"დღეს მთავარი ამბავი ამ მხარიდან არის ის, რომ იგება გზები, კეთდება ინფრასტრუქტურა და ხალხში ამაღლებულია სულისკვეთება. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური მხარე საქართველოში," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის და გუბერნატორების შეხვედრა პრესისთვის დახურული იყო. **ინტერპრესნიუსი**

#### საგარეო უწყება აფხაზური საგუშაგოს გახსნას აპროტესტებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში აფხაზების მიერ უკანონო საგუშაგოს გახსნას აპროტესტებს. 16 ნოემბერს ნაბაკევში, რუსეთის 209-ე სამშვიდობო პოსტიდან 30 მეტრის დაშორებით, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ეგრეთ წოდებულმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო საგუშაგო პოსტი გახსნა. პოსტი 15-20-კაციანი შეიარაღებული ჯგუფით არის დაკომპლექტებული. აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების ზონაში დამატებითი პოსტის გახსნის საკითხი ჭუბურხინჯის ყოველკვირეულ შეხვედრაზე არ განხილულა და ამის შესახებ მხარეები არ შეთანხმებულან. ამის გამო, საქართველოს საგარეო უწყება პოსტის გახსნას აფხაზური მხარის ცალმხრივ გადაწყვეტილებას უწოდებს.

"ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ რუსი სამშვიდობო კონტინგენტის მიერ კონტროლირებად უსაფრთხოების ზონაში აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი თვითნებურ მოქმედებებს აგრძელებს - ხსნის უკანონო საგუშაგო პოსტებს, შეჰყავს შეიარაღებული ჯგუფები და სადამსჯელო ოპერაციებს ახორციელებს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. ყოველივე ეს ხდება რუსი სამშვიდობო კონტინგენტის თვალწინ და მათი ხელშეწყობით, რამაც არ შეიძლება, აღშფოთება არ გამოიწვიოს," - ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს და დსთ-ს სამშვიდობო ძალების სარდალს, მიიღონ სათანადო ზომები უსაფრთხოების ზონაში უკანონო მოქმედებების აღსაკვეთად. **მედიანიუსი**

IPM ნარკომანიის წინააღმდეგ

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

კურიერი
ნარკომანიის წინააღმდეგ

# საქართველო საქართველოს უჩივის

პირველი გვერდიდან

"საქაერონავიგაციის" მიერ დაქირავებულმა ებრაულმა საადვოკატო კომპანიამ როტერდამის სასამართლოში სარჩელი შეიტანა. საქმე ეხება ჰოლანდიური სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, "საქაერონავიგაციას" და კიდევ რამდენიმე ქართულ საწარმოს, ვალის ამოღების მიზნით, ანგარიშები დაუყადაღეს. ორ მილიონ დოლარს, რომელიც 1997 წლიდან გაუგებარი საურავების დარიცხვის გზით 6 მილიონამდე გაიზარდა, შვეიცარული კომპანია "სიერა ოილი" ითხოვს, იმის სანაცვლოდ, რომ მან 1997 წელს "თბილსრესს" მიაწოდა საწვავი და არც ამ უკანასკნელმა, არც "საქენერგომ" და ენერგეტიკის სამინისტრომ თანხა არ გადაიხადეს.

**"ვინაიდან წლების მანძილზე ვერ მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოს ეს ვალი დაეფარა, ამჟამად სასამართლოსგან მოვითხოვთ ვალი ამოღებულ იქნას სახელმწიფოს სხვა სახსრებიდან, ანუ მესამე მხარისგან" -** ამბობენ "სიერა ოილის" ადვოკატები და ნამატი 4 მილიონის დებიტორულ დავალიანებას ადასტურებენ იმ ე.წ. "მოლაპარაკებათა პროტოკოლებით", რომელთა მიხედვითაც საქართველო 2001 წელსა და 2003 წლებში ვალზე 25 პროცენტიანი საურავების დარიცხვას დათანხმდა. საინტერესოა ისიც, რომ თავდაპირველად, რაღა თქმა უნდა, მიწოდებული საწვავი ითვლებოდა მხოლოდ "თბილსრესის" ვალად, სადაც გარანტორი "საქაენერგო" იყო. სახელმწიფო ვალად აღიარება კი ენერგეტიკის სამინისტრომ "ითავა".

1997 წელს, როცა "სიერა ოილთან" ხელშეკრულება გაფორმდა, მინისტრი დავით ზუბიტაშვილი გახლდათ. 2001 და 2003 წლებში კი, ანუ მაშინ, როცა "თბილსრესის" ვალი სახელმწიფო ვალად იქცა, ენერგეტიკის სამინისტროს მირცხულავა მართავდა. თუმცა გილაური დღეს აცხადებს, რომ ორივე პროტოკოლზე ხელი კვეკვესკირს აქვს მოწერილი - ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

აქ უცნაური ორი რამ არის. პირველი ის, რომ ამხელა ვალის აღიარება, მითუმეტეს 25 პროცენტიანი საურავებით, მინისტრისა და ზოგადად მთავრობის დონეზე უნდა წყდებოდეს და არა მინისტრის მოადგილის; და მეორე - სახელწმიფო ხარჯებს ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს, პარლამენტის დასტურით. დოკუმენტები კი, მათ შორის "სიერა ოილის" ხელშეკრულება და პროტოკოლები ენერგეტიკის სამინისტროდან უკვალოდ აორთქლდა. ყოველ შემთხვევაში, სამინისტროს ხელმძღვანელობა ინფორმაციას არ იძლევა და აცხადებს, რომ ეს დოკუმენტაცია არ გააჩნია(?!).

ხომ უნდავოა, რომ ენერგეტიკის სამინისტრო ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე ვალს ვერცერთ შემთხვევაში ვერ აღიარებდა. სხვათა შორის, "სიერა ოილის" ერთ-ერთი დამააარსებელი ამერიკაში მოღვაწე ბიზნესმენია, რომელიც თავის დროზე კლინტონის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა, ხოლო საქართველოში ყოფილი პრემიერმინისტრის გარემოცვასთან მეგობრობდა.

თუმცაღა დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს გილაური და მისი მოადგილეები რამდენ ხანს დამალავენ ინფორმაციას. ჯერ ერთი, არსებობს სხვა უწყებები, საიდანაც ამ დოკუმენტაციის მოპოვება შეიძლება. მეორეც, 24 საათის ინფორმაციით, ენერეგტიკის სამინისტროს ინსინუაციებით უკვე პრეზიდენტი დაინტერესდა.

ერთი უცნაურობაა თავად "სიერა ოილი" და მისი საქმიანობა. ის 1995 წელს არის დაარსებული, შვეიცარიის პატარა ქალაქ ცუგში. მას წარმომადგენლობა თბილისშიც ჰქონდა - იაშვილის 22-ში (ენერგეტიკის სამინისტროს საიახლოვეს). ახლა იქ რესტორანია გახსნილი. "24 საათი" შვეიცარულ კომპანიას სამშობლოშიც ესტუმრა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ამ კომპანიას ყველაფერი რიგზე მართალაც არ აქვს. შვეიცარიის ოფიციალური რეესტრის თანახმად, "სიერა ოილი" რეგისტრირებულია იმავე მისამართზე, სადაც კომპანია "მეისფილდი" (Masefield AG) – ქალაქ ცუგის ბაარერშტრასეს 69-ში.




*შვეიცარია. ქ. ცუგი. ბაარერშტრასეს 69 საფოსტო ყუთი.*

შენობა არც ისე დიდია, თუმცა მასში ათამდე სხვადასხვა ორგანიზაციაა განთავსებული. "სიერა ოილი" კი არსად არ არის მითითებული. სამაგიეროდ "მეისფილდის" ოპერატორს არ გაჰკვირვებია ეს დასახელება და, ხუთწუთიანი ლოდინის შემდეგ, ვიღაც გამოაგზავნა. ეს ვიღაც თომას აქსელი გახლავთ, რომელიც, თავისივე განცხადებით, საქართველოს კარგად იცნობს. ბატონი აქსელი ქართველი ჟურნალისტის ვიზიტს სულაც არ გაუხარებია. **"კომენტარი არ მაქვს. ამასთან დაკავშირებით რაც არ უნდა ვთქვა, ამას ოფიციალური ძალა არ აქვს, ვინაიდან დიქტოფონზე ჩაწერის თანხმობას არ გაძლევთ,"** – განაცხადა აქსელმა. მიუხედავად ამისა, მოკლე დიალოგი მაინც შედგა:

**- გამარჯობა ბატონო თომას, მე გახლავართ ჟურნალისტი საქართველოდან – გაზეთ "24 საათიდან", რომელიც მუშაობს "სიერა ოილსა" და საქართველოს შორის არსებული სასამართლო დავის თემაზე. თქვენთან რამდენიმე კითხვა მაქვს.**

- ჩვენი საქმე მთლიანად ჰოლანდიურ იურიდიულ ფირმას გადავეცით. მე კომენტარს არ ვაკეთებ ამ საქმესთან დაკავშირებით.

**- მაშინ იმაზე ვისაუბროთ, თქვენი კომპანია რას საქმიანობს.**

- არ მაქვს სურვილი.

**- "სიერა ოილი" აქ ფუნქციონირებს?**

- რა თქმა უნდა.

**- ის დამოუკიდებელი ორგანიზაციაა?**

- დიახ.

**- მაშინ ეს "მეისფილდი" რაღაა, მფლობელია "სიერა ოილის"?**

- ეს ინფორმაცია შეგიძლიათ ჰოლანდიელებთან მოიპოვოთ.

**- გასაგებია, მაგრამ თუ "სიერა ოილი" დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რატომ აქვს ოფისი "მეისფილდში".**

- იმიტომ, რომ ის "მეისფილდმა" დაარსა საქართველოში ბიზნესის წარმართვისთვის. მაგრამ ჩვენ საქართველო დავტოვეთ.

**- ენერეგტიკის სამინისტრომ მოგატყუათ?**

- ეს ოფიციალური დოკუმენტაცია ჰოლანდიაშია, მე ვერაფერს გეტყვით.

**- გასაგებია, მაგრამ აქ ვარ და ხომ შეიძლება თქვენც მითხრათ თქვენი კომპანიის შესახებ რამე...**

- ვიცი მაგრამ, კომენტარს არასდროს გავაკეთებთ.

**- რატომ?**

- ეს კერძო ბიზნესია და იმიტომ.

**- მაგრამ თქვენი პატრნიორი საქართველოში...**

- ჩვენ არ გვყავს პარტნიორი საქართველოში.

**- კარგი, ის ვისაც თქვენ ედავებით, არ არის კერძო ბიზნესის წარმომადგენელი, ეს არის სახელმწიფო და ინფორმაცია ამ შემთხვევაში საჯაროა.**

- გასაგებია.

**- საქართველოში ამბობენ, რომ თქვენ არასერიოზული კომპანია ხართ და ის მხოლოდ ამ "გაირგებისთვის" შეიქმნა.**

- დაურეკეთ თქვენს სამშობლოში ენერეგტიკის სამინისტროს, მათ ყველა დოკუმენტაცია აქვთ.

**- ისინი მალავენ.**

- მაშინ უზენაეს სასამართლოში მოიძიეთ.

**- ეს ინფორმაცია მალე გვექნება, მაგრამ ჩვენ გვჭირდება თქვენგან იმის გაგება, ვინ ჩაგრთოთ ამ საქმეში და ვინ მოგატყუათ...**

- ჩვენ ყველაფერი ოფიციალურად გვქონდა გაკეთებული, შეხვედრები და თანხმობა გვქონდა ენერგეტიკის, ფინანსთა და პრემიერ მინისტრებისგან.

**- ვინ იყვნენ, გახსოვთ?**

- ბევრი, ვერ გეტყვით, რამდენიმე შეიცვალა.

**- ამბობენ, რომ თქვენსა და საქართველოს შორის არსებობდა ვიღაც, ვინც თქვენ მოგატყუათ. ვისთან გქონდათ კავშირი?**

- ჩემთვის მთავარი დოკუმენტებია.

**- საქართველოში საერთოდ როგორ მოხვდით?**

- ჰოლანდიის მთავრობამ გამოაცხადა ტენდერი საწვავის მიწოდების შესახებ. შევარდნაძემ კი გამოსცა სპეციალური ბრძანება ამ ტენდერის შესახებ.

**- ვინ არის ის ამერიკელი, ვინც დააფუძნა კომპანია, ამბობენ, რომ მას ჰქონდა კავშირები ძველ მთავრობასთან.**

- ამერიკელი არ არის. მეორეც - ვისაც უნდა, ის დააფუძნებს კომპანიას. მადლობთ, შეხვედრა დამთავრდა.

**- ამის გარდა, მართლა არავითარ საქმეს არ აწარმოებთ?**

- ჩვენ გვქონდა ბენზინგასამართი სადგური თბილისი-ქუთაისის ტრასაზე, რომელიც დიდი ხნის წინ გავყიდეთ?

**- არა, მე ვგულისხმობ მსოფლიოში.**

- დიახ, გავქვს უამრავ ქვეყანაში.

**- ინყტერნეტში ვებგვერდიც კი არ გაქვთ.**

- არ გვინდა და იმიტომ.

**- თუ შეიძლება, გვითხარით, რომელ ქვეყანაში საქმიანობს "სიერა ოილი"?**

- დღეს არსად.

**- აბა ბევრ ქვეყანაში ვართო?**

- სხვადასხვა სახელით.

**- ეს სხვა კომპანიებია, "სიერა ოილი" რას აკეთებს დღეს?**

- ეს თქვენი საქმე არ არის.

**- ანუ არაფერს?**

- დიახ. ახლა მხოლოდ ფულს ველოდებით. ბოდიში, ჩვენი სუბარი დამთავრდა, კარგად ბრძანდებოდეთ.

**- ტელეფონი მაინც მომეცით.**

- რა საჭიროა, მე კომენტარს მაინც არ გავაკეთებ.

**- არა, უბრალოდ, ნაცნობობისთვის.**

- ოფისს ტელეფონი არ აქვს, "სოერა ოილის" მობილურს კი არ მოგცემთ, ნახვამდის.

მოვლენათა ქრონოლოგიას, ლოგიკას, საქართველოს გამოცდილებას და თომას აქსელთან ინტერვიუს მივყავართ იქამდე, რომ "სიერა ოილი" ამ "გარიგებისთვის" შეიქმნა. ქრონოლოგია ასეთია: 1995 წლის ბოლოს იქმნება "სიერა ოილ ენტერპრაისი". ეს ის პერიოდია, როცა ჰოლანდიის ხელისუფლება საქართველოსთვის 8 მილიონიან გრანტს გამოყოფს. გამოდის შევარდნაძის სპეციალური ბრძანება და თანხა იხარჯება საერთაშორისო ტენდერის ორგანიზებაში. ოლონდ რაში დასჭირდა რვა მილიონი გულდენი ტენდერს, სადაც მხოლოდ ერთმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა და მანვე მოიგო, არავინ იცის.

თავისთავად გრანტის მიღებას, შემდეგ ტენდერის დაგეგმვას და მის ორგანიზებას დრო დასჭირდებოდა. 1997 წლის დასაწყისში კი, ყველაფერი დასრულებულია და "სიერა ოილი" ხელშეკრულებას აფორმებს "თბილსრესთან". 1998 წელს კი, როცა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულა, შვეიცარულმა კომპანიამ საქართველოში წარმომადგენლობაც დახურა და ბენზინგასამართი სადგურიც გაყიდა. მას შემდეგ "სიერა ოილი" ფულს ელოდება და, როგორც ბატონი თომასი ამბობს, სხვას არაფერს აკეთებს. დასკვნის გაკეთება ძნელი არ არის - აქ აუცილებლად ქართველის ხელი ურევია.

ასეა თუ ისე, "საქაერონავიგაციის" ანგარიში საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციაში ("იატა") მაინც დაყადაღდა. სანარმო სექტემბრიდან თანხებს ვერ იღებს და, შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ ის კოტრდება. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ უახლოეს კვირებში "საქაერონავიგაცია" თანხას ვერ მიიღებს, ის ვერ შეძლებს ამერიკული კრედიტის გრაფიკით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვას, ხელფასების დარიგებას და, რაც ყველაზე მთავარია, ელექტროენერგიისა და კომუნიკაციების მომსახურების საფასურის გადახდას. რა იქნება ნავიგაცია კომუნიკაციების გარეშე? ნავიგაცია უბრალოდ არ იქნება და, თუ ღვთის ნებით თვითმფრინავების ციდან ცვენას გადავრჩით, სკანდალი მაინც არ აგვცდება. არც ის, რომ საქართველოს სატრანზიტო ცაზე აღარავინ იფრენს.

**"ჩემი სახელმწიფოებრივი ვალია, რომ ნავიგაცია ამ კრიზისიდან გამოვიყვანო. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიღაცას ეს ყველაფერი იოლად შერჩება. ყველა დოკუმენტაციას ამოვწევთ და ყველა გვარს დავასახელებთ, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იყო და ვინ არის. გამყიდველები მმართველ გუნდშიც არიან. ამასთან, არც ოპოზიცია იკლავს მაინცდამაინც, დემაგოგიის გარდა, რამით თავს. პარლამენტის დამოკიდებულებაც გაუგებარი და უცნაურია. პრეზიდენტის გარდა, ამ ამბავს არავინ გამოხმაურებია. ასეთი მიდგომით ხვალ შეიძლება სხვა რამ განიავდეს, კულტურა გაგვინადგურდეს. ნუ გიკვირთ... ორპირი და ავანტიურისტი ყველა გუნდშია ჩასაფრებული. მაგრამ ეს მუდმივი არ არის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უკვე არსებობს გარკვეული ინფორმაცია, რომელსაც, სხვადასხვა ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ ვერ გეტყვით. მათ შესახებ პრეზიდენტმაც იცის და გარწმუნებთ, რომ ამ დივერსიული შეთქმულების არცერთი მონაწილე უყურადღებოდ არ დარჩება. ამაზე პირადად ვზრუნავ და სულაც არ ვარ იმ განწყობაზე, რომ ვიღაცას დავანგრევინო ის უზარმაზარი იმიჯი და კეთილგანწყობა, რაც ბოლო წლის განმავლობაში "საქაერონავიგაციამ" შეიძინა მსოფლიო ავიაციაში,"** - ამბობს გიორგი კარბელაშვილი.

სამი დღის წინ, "საქაერონავიგაციის" მიერ დაქირავებულმა ადვოკატმა შუამდგომლობა ჟენევის სასამართლოში შეიტანა. **"დავაყენეთ საკითხი იმის თაობაზე, რომ გასაჩივრების ვადა გადაიწიოს, ვინაიდან ათდღიანი პერიოდი შესაძლოა შვეიცარიის რეზიდენტისთვის საკმარისი იყოს, მაგრამ არა უცხოეთის პირისთვის. ჩემმა ჰოლანდიის წარმომადგენლობამ უკვე შიტანა სარჩელი როტერდამის სასამართლოშიც, სადაც ვასაჩივრებთ სასამართლოს მიერ ყადაღის დადებაზე გამოტანილ გადაწყვეტილებას. მართალია "საქაერონავიგაციის" მფლობელი სახელმწიფოა, მაგრამ ის კერძო სამართლის იურიდიული პირია და ამ შემთხვევაში უნდა ჩაყენებულ იქნას ისეთ პირობებში, როგორც კერძო საწარმო. ანუ ის არ არის ვალდებული იხადოს სახელმწიფო ვალები"** - ამბობს ადვოკატი ზევ ჰოლენდერი.

სამწუხაროდ, 24 საათთან შეხვედრა არ ისურვა საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციამ (იატა), თუმცა, წერილის საშუალებით, ჩვენთვის ცნობილი გახდა მათი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. წერილში ნათქვამია, რომ "იატა" გაოცებას ვერ მალავს, ვინაიდან "საქაერონავიგაცია" გახლავთ კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო ვალებზე პასუხისმგებელი არ არის.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ "საქაერონავიგაცია" ერთდროულად ოთხ ქვეყანაში აწარმოებს სასამართლო საქმეს, ჯერ მაინც არ გარკვეულა, მოიხსნება თუ არა ყადაღა. ფაქტია, რომ "საქაერონავიგაცია" იძულებული გახდა, სასამართლოში ეჩივლა და ამ საქმეში, შესაძლოა, ერთ-ერთ მოპასუხედ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროც მოგვევლინოს. ეს სასამართლო პროცესი დეკემბერში უნდა გაიმართოს.

მანამდე კი, მკითხველს შევახსენებთ, რომ « 24 საათი » "საქაერონავიგაციის" წინა ხელმძღვანელობაში არსებული კორუფციის შესახებ არაერთხელ იუწყებოდა. სასწაულებრივი გარიგებები და მაქინაციები დღესაც პერიოდულად იჩენს ხოლმე თავს, სულ სხვადასხვა სფეროებსა და დარგებში. გაცნობებდით იმასაც, თუ როგორ "შეიძინა" რამდენიმე ასეულ ათასად საწარმოს ყოფილმა ხელმძღვანელმა სილაგაძემ, დანიური ნამცხვრების მწარმოებლისგან - "დან-ქეიქისგან" "რადიოლოკაციური ჩამწერი სისტემა".

სილაგაძის დროს "საქაერონავიგაცია" საბჭოთა "კაგებეს" უფრო ჰგავდა ვიდრე საქართველოს სტრატეგიულ ობიექტს. თუმცაღა, მიუხედავად იმისა, რომ სილაგაძის წინააღდეგ უამარავი დოკუენტაცია არსებობს, ხელისუფლება მაინც დუმს.

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ გასაკვირი არაა, როცა საქართველო საქართველოს უჩივის.

# გმირი დაბრუნდა

პირველი გვერდიდან

სამების ტაძრის ეზოში, საეკლესიო ზარების რეკვის ფონზე, ნეშტი სპეციალურ პოსტამენტზე დაასვენეს. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნისადმი პატივის მისაგებად გამოცხადდა წუთიერი დუმილი, რის შემდეგაც საქართველოს საპატრიარქოს ანსამბლის "ბასიანის" წევრებმა საგალობლები შეასრულეს. სწორედ ამ საგალობლების ფონზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხედარი სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს.

ეროვნული გმირის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამების საკათედრო ტაძარში გადაიხადა.

წირვა და საეკლესიო პანაშვიდი დღეს, დილის 9 საათიდან ჩატარდება. ჩოლოყაშვილის ნეშტს სამების საკათედრო ტაძრიდან პირველ საათზე გამოასვენებენ. ეროვნული გმირის ნეშტს მამა დავითის სახელობის ტაძარშიც დაასვენებენ, სადაც აღესრულება საეკლესიო პანაშვიდი. დაკრძალვის ცერემონია, საეკლესიო ზარებისა და საარტილერიო ზალპების ფონზე, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დღეს, 15 საათზე გაიმართება.

*24 საათი*

# სეპარატისტებს პოლიტპატიმრები ცხვირწინ აჰქალეს

პირველი გვერდიდან

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ეთერ სადაღაშვილის თქმით, ქარქუსოვების გაქცევის ღამეს ცხინვალის რეგიონში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და შეიქმნა ქართულ სპეცრაზმსა და ოსურ ბანდფორმირებათა შორის შეტაკების სერიოზული საფრთხე. მისივე თქმით, მინისტრმა სპეოპერაციის მონაწილეთ იმისთვისაც გადაუხადა დიდი მადლობა, რომ მათ დავალების შესრულება კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე შეძლეს.

როგორც ცნობილია, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და უშიშროების საბჭოს ყოფილი თავკაცი ჯემალ ქარქუსოვი, მისი ძმა ოსმა ძალოვანებმა იარაღის უკანონო ტარებისა და საბუთების გაყალბების საბაბით დააპატიმრეს, თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, კოკოითის მთავრობა ჯემალ ქარქუსოვს სამშობლოს ღალატში ადანაშაულებდა.

**"მათი ძირითადი დანაშაული ქართველებთან კარგი ურთიერთობაა,"** - განმარტა ეთერ სადაღაშვილმა.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მყოფი ჯემალ ქარქუსოვი თლიაყანის იმ ოპერაციას ხელმძღვანელობდა, რომელიც ოსური მხარისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. ამ ოპერაციის დროს პოზიციების დაკავება საქართველოს მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა შეძლო და თან ერთი "ბმპ" წამოიყვანა.

ამ ოპერაციის შემდეგ ჯემალ ქარქუსოვი თანამდებობიდან გადადგა - ამბობენ, ედუარდ კოკოითთან ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვის გამო. მალე კი ის და მისი ძმა – იან ქარქუსოვი დააპატიმრეს. უნდა აღინიშნოს, რომ დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, ქარქუსოვების ოჯახის აქტიური მონაწილეობით, ცხინვალში შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ამჟამინდელი პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნას აყენებდა და ამასთან ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრობლემებითაც იყო დაკავებული. ამ ორგანიზაციის მიერ კოკოითის საწინააღმდეგო განცხადებების გამოქვეყნებას მალევე მოჰყვა ქარქუსოვების დაკავება.

გუშინ სპეცოპერაციის შემდეგ, ლიახვის ხეობების მოსახლეობა არ გამორიცხავს, რომ ციხიდან ქარქუსოვების გაქცევას და ქართული მხარის მიერ მათ შეფარებას, შესაძლოა, ოსური მხრიდან სერიოზული პროვოკაცია მოჰყვეს. მოვლენათა ამგვარად განვითარებას, როგორც ჩანს, ქართული სპეცსამსახურებიც ელიან და, შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლიახვის ხეობაში პოლიციის კონტროლი გააძლიერა.

*24 საათი*

# რუსები პანკისელ ჩეჩნებს ევაკუირებიან

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ ვერც ერთი დელეგაცია ვერ დაგვარწმუნებს, რომ გროზნოში სიმშვიდეა. რა პირობებზეც რუსები გველაპარაკებიან, ტყუილია. აქედან წასული თხუთმეტი ადამიანი ისე გაქრა, რომ მათი ასავალ-დასავალი დღემდე არავინ იცის, მათ შორის - ერთი ფეხმძიმე ქალიც. სიკვდილისთვის დავბრუნდეთ?"** - კითხულობენ დევნილები და იქვე იმასაც აცხადებენ, რომ თუ რომელიმე დელეგაციას ან საერთაშორისო ორგანიზაციას მათზე გული შესტკივა, დახმარება მესამე ქვეყანაში გადასვლაში უნდა გაუწიონ.

**"ჩემი ნათესავები გროზნოში ცხოვრობენ და მათთან ყოველდღიური სატელეფონო კავშირი მაქვს. ნამდვილად ვიცი, რომ იქ საშიში არაფერია და ცხოვრების პირობებიც დამაკმაყოფილებელია. თუ წამიყვანენ, სიხარულით დავბრუნდები. ბოლოს და ბოლოს, ჩემს სამშობლოში ვიცხოვრებ და, თუ სიკვდილია, მშობლიურ მიწაზე მაინც მოვკვდები,"** - ამბობს მადინა ჯაბრაილოვა, რომელიც ერთ-ერთია 300 დევნილიდან, ვინც რუსეთის საემიგრაციო ფედერალურ სამსახურს ჩეჩნეთში დაბრუნების სურვილით და შესაბამისი განცხადებით მიმართა.

გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის მონაცემებით, ამ დროისთვის ხეობაში ორი ათას ექვსასამდე ჩეჩენი ცხოვრობს. ამ მონაცემებს კი დუისის მოსახლეობა არ ეთანხმება. **"აქ ოთხასი დევნილია და ეს რიცხვი, რატომღაც, სამი ათასამდე გაბერეს. ეს რაში სჭირდებათ, არ ვიცი,"** - ამბობენ პანკისელი ჩეჩნები.

Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა
1. ლაზერული ეპილაცია
2. ლაზეროთერაპია (ტატუირების, პიგმენტაციის, ხალების, სისხლძარღვების მოცილება)
3. მეზოთერაპია
4. დერმაბრაზია
5. ქიმიური პილინგები
6. სხეულის ლაზერული კორექცია
7. ენდერმოლოგიური ტექნიკა (ნერვული დაძაბულობა, დეპრესია, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, კუნთების დაძაბულობა)
8. პედიკიური
9. წარბების კორექცია
10. კოსმეტოლოგია
11. მანიკიური
12. ტრიქოლოგია
13. თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია
თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმი
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

# მოულოდნელი ვიზიტი

პირველი გვერდიდან

ამ ვიზიტის ფარგლებში გამართული მოლაპარაკებების თემა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოწესრიგება და საქართველოს სამშვიდობო ინიციატივები გახდა.

**"უკიდურესად იმედგაცრუებული ვართ აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით - ჩვენს თვალწინ იქაური მოსახლეობის (ქართველები და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები) 80 პროცენტის კუთვნილი ქონება იყიდება; თითქმის ყოველდღე ადამიანებს იქ იტაცებენ, აწამებენ და კლავენ; მეორე მხარე კატეგორიულ უარს ამბობს ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის გახსნაზე, რომელიც ყოველივე ამას გააკონტროლებდა; მთელი მსოფლიოს დასანახად ხდება დანაშაული კაცობრიობის წინაშე, აფხაზეთში სულ უფრო მეტი იარაღი შედის და ამ რეგიონის სრული მილიტარიზაცია ხდება,"** - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი თქმით, საქართველოს მშვიდობა სურს, მაგრამ საქართველო ადამიანის უფლებების ამგვარად გათელვას არასდროს შეურიგდება.

**"იმედი მაქვს, რომ ამ მიმართულებით გაერო გააქტიურდება და მისი წევრი ქვეყნები ამ ორგანიზაციას საშუალებას მისცემენ, რათა კიდევ უფრო გააქტიურდეს,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა დადებითად შეაფასა საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის საქმიანობა. **"რასაკვირველია, ჩვენ არც შემდგომში დავიშურებთ ძალისხმევას და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად შევეცდებით, ამ პრობლემების გადასაჭრელი გზები მოვძებნოთ.**

**თუმცა, უმთავრესი ისაა, რომ ორივე მხარემ ადამიანის უფლებებს და ღირსებას პატივი სცეს. ასევე, ყველა მხარემ უნდა აღიაროს კანონის უზენაესობა და უნდა დაიცვას ის, რადგან ამის გარეშე წარმატებებს ვერ მივაღწევთ,"** - აღნიშნა კოფი ანანმა. მან საქართველოს მყარი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში წარმატებები უსურვა და დასძინა:

**"ამ გზაზე გაერო-ს დახმარების იმედი მუდამ უნდა გქონდეთ."**

*24 საათი*

Castel
ნარკომანიის წინააღმდეგ

ნოდარ ლადარია

ერთ დილას, შინიდან გამოსულს და უკვე სამარშრუტო ტაქსში მძღოლის გვერდით მჯდომს, დილომთან მიახლოებისას, საოცარი სანახაობა გადამეშალა თვალწინ: შეფუთული კვარცხლბეკის ზედა კიდეს ბრინჯაოს მხედრის გვირგვინოსანი თავი და ზეაღმართული ხელი ასცილებოდა. ქარში მოფრიალე ძონძებიდან გამომზირალმა დავით აღმაშენებელმა მაფიქრებინა, რომ თბილისის მერიის გადაწყვეტილებას, რომელსაც ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი უმართებულოდ მიიჩნევდა, საინტერესო ისტორიული საფუძველი აღმოაჩნდა: **"შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით, და თანა შემოჰყვეს თურქნი დიდნი. ცნა რა მეფემან, გაგზავნნა მონათაგანი თხუთმეტნი კაცნი რჩეულნი, რათა ლოჭინით კერძო ნახირი მძოვარი ქალაქისა წარმოიტაცონ ... ხოლო თვით სამასითა ოდენ მხედრითა დაიმალა ღელეთა ავჭალისათა, და არავის მიენდო მხედარსა სხუასა, არამედ თვით მარტო წარვიდა ყოვლად უსაჭურვლო, ხრმლითა ოდენ. და თანა წარიტანა წიგნი ღმრთისმეტყუელი"**.

სწორედ რომ შესაფერი მდებარეობა მიუჩინეს, თორემ აქამდე ქვეყნის გასაცინად მეფის ძეგლი რესპუბლიკის მოედანზე იდგა! არა მგონია, **გიგი უგულავას** დავითის ცხოვრების ეს ადგილი გახსენებოდა, როცა ხელს აწერდა (ან იქნებ არ აწერდა?) ძეგლის გადატანის განკარგულებას, მაგრამ ერთი რამ მართალია: ახლაც ავჭალის იმ ღელეებს შესცქერის მეფე, სადაც ოდესღაც უსაფრდებოდა თურქეთის ქარავნებს, იქ კი ახლაც "დიდი განძით" დატვირთული მძიმე თურქული მანქანები გამოდიან საბაჟო ტერმინალიდან და მშვიდობით ადგებიან ახლად გარემონტებულ გზას. დიახ, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ოდესღაც საქართველოს მეფე თურქულ ქარავანს ჩაუსაფრდა, მაგრამ წიგნის კითხვას გადაჰყვა, სანამ მისი რჩეული რაზმი გატაცებული ნახირის პატრონებს ებრძოდა. ერთგვარი ნოსტალგია შეინიშნება მეფის მზერაში, მაგრამ დროს თავისი მოაქვს. თურქული ქარავნების ტვირთი დღეს საქართველოს მმართველთაგან ალარავის მოუდენს პირწყალს და არც ძველ შეცდომებს გაიმეორებს ვინმე: დღევანდელებმა კარგად აითვისეს, რომ როცა სარჩო გარედან შემოგდის, წიგნის კითხვა მართლაც ზედმეტი ფუფუნებაა.

ამაზე დღეს მხოლოდ ლიტერატორი თუ იდარდებს. **ზაზა შათირიშვილიც** დარდობს 16 ნოემბრის ნომერში (**მაია ჭალაგანიძე**, *პაუზა ისტორიაში*). ჩვენც დავეთანხმოთ, რომ განათლების ანუ რაიმე დარგის სრულფასოვან სპეციალისტად ჩამოყალიბების პროცესი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სულ მცირე, 14 ან 16 წელი გრძელდება, ამიტომაც მათ, ვინც იქაურ უნივერსიტეტებში ორი-სამი თვე ან თუნდაც წელი დაჰყო, ამერიკულად განათლებულებს ვერ ვუწოდებთ. მაგრამ ამჯერად ასე ღრმად შეტოპვას არ ვაპირებ: განათლებას კი არა, უბრალოდ, სინამდვილის არსში მეტ-ნაკლებად წვდომის უნარს შევეხები...

აი, მშვიდობისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თანამშრომელმა **ავთო ჯოხაძემ** დასცხო მშვიდობის მაძიებლებს: *ომი თუ მშვიდობა — როგორ დავიბრუნებთ აფხაზეთს?* (17 ნოემბერი). რაც მთავარია, დასკვნაა მეტად საგულისხმო: **"თუ როგორი უნდა იყოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო სცენარები, ამაზე აქ ვერ ვისაუბრებთ"**. თუმცა საბოლოოდ ავტორი ცდისა და შეცდომის მეთოდს გვთავაზობს და მოგვიწოდებს: რამე მაინც აკეთეთ, თქვე დალოცვილებო, თორემ გულხელდაკრეფილი ჯდომა აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვის რეალურ პერსპექტივას შეიცავსო.

ერთი სიტყვით, ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდაო, საქმეაო საჭირო, საქმე! თითქოს ფიქრი საქმე არ იყოს. იქნებ ის მაინც აეხსნა ჩვენს ავტორს, საკუთრივ რას გულისხმობს აფხაზეთის დაბრუნებაში, ცხინვალის პრობლემის გადაჭრაში? ან ეს აფხაზეთი რაღაა ნეტავ? იცის ვინმემ რამე მის შესახებ?

ისევ "24 საათის" ფურცლებიდან უნდა გავიგოთ, რომ, მაგალითად, ეფემერული დამოუკიდებლობის წლებში განვითარებული პროცესების შედეგად აფხაზურ ენას არა მარტო სტატუსის დაკარგვა, არამედ სრული გაქრობა ელის და, შესაბამისად, მხოლოდ საქართველოსაგან გამოყოფის იდეასა და რეალობაზე დაფუძნებული ეროვნული იდენტობა მეტად ხეიბარი რამაა. რა მოსდევს ამას? — არც არაფერი. ამ ძვირფას ცნობას არავინ იყენებს არც პოლიტიკური და არც თუნდაც პროპაგანდისტული მიზნით.

რაო, იმდენი ვეცადეთ, რომ მშვიდობიანმა მეთოდმა ყველა შესაძლებლობა ამოწურა? — ამგვარ დასკვნას სტატიის ტექსტიდან ვერ გამოვიტანთ. უფრო მეტიც: ავტორი განაგრძობს ჩვენში უკვე დამკვიდრებულ ტრადიციას და ისე მსჯელობს, თითქოს აფხაზეთი ცოცხალი ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოება კი არა, ერთგვარი აბსტრაქცია იყოს. არა, მოდი და ნუ დაუჯერებ ზაზა შათირიშვილს, რომელიც ზემოხსენებულ ინტერვიუში შემდეგს გვაუწყებს: **"შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოში არსებული "ენჯეო-ცივილიზაცია" გაუნათლებელია"**. გვესმის, ბატონებო, გაგიგონიათ, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, მაგრამ თქვენს გაუნათლებლობას მაინცდამაინც იმას კი არ ვუწოდებთ, რომ ამ აზრის გასაგებად **კარლ კლაუზევიცის** წაკითხვა არ დაგჭირვებიათ, არამედ იმას, რომ საერთოდ არ გჭირდებათ მსჯელობის ობიექტთან მიახლოვება, რომ უამისოდაც იოლად გადიხართ, რომ სინამდვილეზე დაკვირვება მხოლოდ იმ ზომამდე მიგაჩნიათ აუცილებლად, რა ზომითაც ეს დაკვირვება დონორის მიერ დანიშნული მონიტორინგის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

და მაინც, სადაა დამარხული ძაღლის თავი, ანუ, ამ შემთხვევაში, სტატიის აზრობრივი კვანძი? დიდი ძებნა არ სჭირდება: **"სამოქალაქო ინტელექტუალები გრძნობენ, ჭკუის გარდა სხვა დიდი არაფერი რესურსი რომ არ გააჩნიათ და უნდათ, ამ რესურსის ამარა მოაგვარონ პრობლემა"**. აჰა, მივაგენით! — ინტელექტუალების გინებამ დღეს ერთობ ქმედითი მნიშვნელობა შეიძინა: ლამის ხელისუფლებისადმი ლოიალობის საბუთადაა აღიარებული. დროც კი არ გვრჩება, გაგვიკვირდეს და ვიკითხოთ: რა საჭიროა ინტელექტუალების ლანძღვა ასეთი ბრიყვი პოლიტიკური ოპოზიციის პირობებში? როგორც ეტყობა, ეს არც ჩვენს ავტორს უკვირს და განაგრძობს გაკვალულ ბილიკზე სვლას: **"აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემას არა აქვს ინტელექტუალური გადაწყვეტა — არამედ პოლიტიკური, რაც აუცილებლად გულისხმობს ნებელობით ფაქტორს. აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემის გადაჭრა სხვადასხვანაირი სცენარების გზით შეიძლება, მაგრამ ყველა შემთხვევაში ძალის არსებობაა საჭირო"**. ამგვარი მსჯელობის მოკლე და სხარტი საზრისის, ანუ, როგორც განსწავლული ფილოლოგები იტყოდნენ, კიმენური ვარიანტის ძებნას არავითარი დახვეწილი მეთოდის გამოყენება არ სჭირდება. ეს საძიებელი და პირველადი საზრისი ცნობილი რუსული გამონათქვამია: "сила есть, ума не надо". თუმცა ჩვენი ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ის მთლიანად მაინც იყენებს და ახორციელებს ამ გამონათქვამს, მაშინ როცა ისინი, ვისაც ბ-ნი ჯოხაძე მიმართავს როგორც საქართველოს მომავლისა და, კერძოდ, აფხაზეთის სანუკვარი დაბრუნების შემოქმედთ, თავისუფლად კმაყოფილდებიან მოყვანილი რუსული წინადადების მხოლოდ მეორე ნაწილით.

აბა, გავიხსენოთ, რას გვეუბნებოდა 4 ნოემბერს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან **გივი თარგამაძე**, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე: **"როდესაც ბევრი წელი გავა, აღარ ილაპარაკებენ, იპოდრომის წილში ვიყავი თუ კიდევ სხვა წილში. ჩემთვის მთავარი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ქვეყნის გამთლიანებაა და ამას შევძლებთ"**. ეს ადამიანი ქარაგმების გარეშე აღიარებს, რომ ჩვენს შეგნებაში ბოლო წლების განმავლობაში უკრიტიკოდ და გაუაზრებლად დამკვიდრებული სიტყვიერი კომპლექსი — "ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა" — მისთვის სხვა არაფერია, თუ არა ტაქტიკური საშუალება საზოგადოებრივი ყურადღების გადასატანად. რა იმედით? — ამაზეც უკვე მზადაა პასუხი, **ივანე ტურგენევისა** არ იყოს, დიადსა და მძლავრ რუსულ ენაში: "**война все спишет**". ასეთ პირობებში კი ერთობ სახიფათოა სამშვიდობო ინიციატივების ეჭვქვეშ დაყენება, მით უმეტეს, რომ დღევანდელ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო ნართაულმა გამონათქვამებმა.

აი, თუნდაც **სოფიკო ჩხაიძის** მასალა წავიკითხოთ: 16 ნოემბერი, *სასიკვდილო განაჩენი სასამართლოს გარეშე*. საქმე ეხება საპატრულო პოლიციის მიერ 18 წლის ეჭვმიტანილის, **ლევან გულუას** ლიკვიდაციას. ტექსტში ვპოულობთ რამდენიმე გაბედულ მტკიცებას: **"ფაქტია, პრეზიდენტისა და შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებები რომ არა, იგი** (პოლიციელი — *ნ. ლ.*) **ქურდობის მცდელობაში ეჭვმიტანილს ასე ხელაღებით არ ესროდა"**. იგულისხმება ორი განცხადება:

1) **მიხეილ სააკაშვილი** (ქუთაისი): **"პოლიციას აქვს მიღებული გადაწყვეტილება, რომ არ გარისკოს არც მოქალაქეების და არც პოლიციელების სიცოცხლე და თუ სხვა გამოსავალი არ არის, ყველა კრიმინალი გაანადგუროს ადგილზე"**.

2) **ვანო მერაბიშვილი** (საქართველოს პარლამენტი): **"არავითარ შემთხვევაში არ აგიკანკალდეთ ხელი, თუ დაინახავთ, რომ საფრთხე ექმნება ადამიანის, პოლიციელის სიცოცხლეს — გამოიყენეთ იარაღი"**.

თუ მინისტრის სიტყვები პათეტიკური მოწოდებაა, პრეზიდენტი პირდაპირ ამბობს რაღაცა გადაწყვეტილებაზე. როგორ მიიღეს ეს გადაწყვეტილება? რა დონეზე გადაწყდა და როგორ გაფორმდა? საზოგადოებისთვის ეს უცნობია, საზოგადოება დუმს, სანამ პარკეტზე დაღვრილი სისხლივით თვალსაჩინო და უეჭველ საბუთს არ იხილავს.

ახლა გასაგები ხდება **გიგა ბოკერიას** აზრი, რომელიც ჩემ მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში გამოითქვა (28 ოქტომბერი), უფრო სწორად კი - ამ აზრის ქვეტექსტი: **"უკმაყოფილოთა რიცხვი მართლაც იზრდება და რეფორმების პირობებში ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ეს რიცხვი არ უახლოვდება კრიტიკულ ზღვარს, ეს არც ერთი გამოკვლევით არ დასტურდება"**, — უკმაყოფილოთა რაოდენობა ყოფილა საგანგაშო ნიშნული, რომლის შემდეგ ანგარიშს გაგვიწევენ. მაგრამ ვინ მონიშნა და სად?

მაგრამ არც ესაა დიდი ტრაგედია. უბედურება სხვაგან იმალება: მხარდამჭერთა რაოდენობისთვის გამუდმებული ბრძოლა დისკუსიის ზერელე დონეს განაპირობებს. აი, ორი მაგალითი: **სალომე ზურაბიშვილი** და **ელენე თევდორაძე**.

პირველი მათგანი თბილისის ცენტრში "დინჯ აქციებს" მართავს და ემიგრანტული პათოსით აცხადებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები წარსულში გვაბრუნებს. მაგრამ იქვე, ამ დინჯ და დარბაისელ აქციაზე ისმის დაღუპული ლევან გულუას ერთი ნათესავის ხმა: **"რომ ესროლეს და მოკლეს, დაეჭირათ და ეკითხათ, რატომ ქურდავდა ბინას? რვა წლის წინ გამოკეტილი კარის გაღებას ცდილობდნენ. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ოჯახი ჰყავდა მშიერი. მამა და ბაბუა აფხაზეთის ომში დაეღუპა. ძალიან უჭირდათ"**. საინტერესოა, საკუთრების ხელშეუხებლობის შესახებ ასეთი აზრი (რვა წლის წინ გამოკეტილი კარი!) როგორ ეთანხმება ქ-ნ სალომეს მიერ აღიარებულ ღირებულებებს? როგორც ეტყობა, საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრსაც იგივე ელის, რაც ქართული პოლიტიკური ელიტის სხვა წევრებს: ვინც ამ ქვეყანაში მრავალთა გულის მოგებას ცდილობს, აუცილებლად კარგავს საკუთარ რესპექტაბელობას. და კიდევ: მოკლულის ნათესავის მიერ მოყვანილი არგუმენტები ჩადენილი დანაშაულის მიზეზს აღწერს. მიზეზი კი ყოველთვის როდია გამართლება. როგორც ეტყობა, ამ ქვეყანაში წარმატების მისაღწევად ქ-ნ სალომეს არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური, არამედ ეთიკური ღირებულებების გადასინჯვაც მოუწევს და ამ გზაზე ფეხი უკვე შეუდგამს კიდეც.

რაც შეეხება ელენე თევდორაძეს, 15 ნოემბრის ნომერი გვამცნობს, რომ მას საპატიმროებში ოპერატიული საქმიანობის დაკანონება არ მოსწონს. თავის დროზე ციხეში ოპერატიული ღონისძიებების წინააღმდეგ თვით მიხეილ სააკაშვილიც იბრძოდა, თუმცა, მაპატიეთ — ოპერატიული მუშაობის კი არა, **კახა თარგამაძის** წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, აქ თვითდამკვიდრებასთან გვაქვს საქმე, თორემ არსისთვის მებრძოლი ადამიანი ჯერ იმაზე დაფიქრდებოდა, ოპერატიული საქმიანობის გაუქმების შემთხვევაში რა ობიექტური საშუალება არსებობს იმისათვის, რომ სამოცი მსჯავრდებულით დასახლებულ საკანში სამკაციანი ბადრაგი შევიდეს და იქიდან ცოცხალი გამოვიდეს.

მაგრამ რას იზამ? — არ ვაკვირდებით რეალობას, ალბათ არ გვიყვარს და იმიტომ. ასეთი საშინელი მდგომარეობიდან გამოსავალი იქნებ დეპუტატის სამახსოვრო ბარათი იყოს, რომელშიც რამდენიმე მოკლე რეკომენდაციას შეიტანდა ვინმე ღვთისნიერი ადამიანი. მაგალითად, ასეთს:

როცა ახალ კანონპროექტს ეცნობი, თავი შეიკავე და პირველივე ცდაზე ნუ აყვირდები.

ტექსტი ბოლომდე წაიკითხე და უსიტყვოდ გადაშალე ის მუხლები, რომლებსაც არც ერთი საღად მოაზროვნე არ დაეთანხმება. გახსოვდეს — გამოცდილება მოწმობს, რომ მათ შემჩნევას დიდი ჭკუა არ სჭირდება.

კიდევ ერთხელ გადაიკითხე ტექსტი ისე, თითქოს გადაშლილი მუხლები არც არსებობდა. ვინ იცის, კიდევ რას წააწყდები! — ეს იქნება შენი ალმავლობის დასაწყისი.

გახსოვდეს: სხვებს წარმატების მისაღწევად გაცილებით დიდი მსხვერპლის გაღება უხდებათ.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge


# განცხადება ვაკანსიაზე, ელექტრო ტექნიკოსი

BP საქართველო იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სუფსის ტერმინალზე ელეტრო ტექნიკოსის** პოზიციის დასაკავებლად..

სამუშაოს ადგილმდებარეობა: სუფსის ტერმინალი

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები**

კონკრეტული ფუნქციები მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

■ გამოხატული ერთგულება ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პრინციპების მიმართ.

■ მონაწილეობას მიიღებს ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების გამოძიებაში საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოს დადგენილი ქმედებების ზუსტი შესრულება.

■ იმუშავებს ექსპლუატაციის ჯგუფთან ერთად, რათა კოორდინაცია გაუწიოს ყველა დაგეგმილ ტექნიკური მომსახურების საქმიანობებს.

■ უზრუნველყოს მაღალი სტანდარტი უსაფრთხო და მიღებული ელექტრო ტექნიკური მომსახურების პრაქტიკის გამოყენებით, განახორციელოს პრევენციული ტექნიკური მომსახურების დავალებები, რაც ჩვეულებრივ გულისხმობს კონკრეტულ დისციპლინურ უნარ-ჩვევებს.

■ აჩვენოს სრული და ძირფესვიანი ცოდნა სამუშაოების წარმოების ნებართვის სისტემისა და ელექტრო იზოლაციის პროცედურებისა. დახმარება გაუწიოს ექსპლუატაციის ჯგუფს თითოეული სამუშაო დავალების ნებართვის პირობების განვითარებაში.

■ ჩანაწერების განხორციელება ტექნიკური მომსახურების Maximo სისტემაში, შესრულებულ სამუშაოზე ზუსტი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის უზრუნველყოფით.

■ განახორციელოს ხელმძღვანელის მითითებით საგანგებო მდგომარეობაში დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები.

**განათლება და მუშაობის გამოცდილება**

■ სათანადო უნივერსიტეტის დიპლომი ტექნიკურ სფეროში (საინჟინრო).

■ 3 წლის მუშაობის გამოცდილება სამრეწველო ობიექტებზე, მაგალითად, ელექტრო და ხელსაწყოებთან მუშაობის.

■ ინგლისური ენის ცოდნა, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი და შემდგომი განვითარების სურვილი

■ მანქანის ტარების ცოდნა (სულ ცოტა B კატეგორია)

■ კომპიუტერის ცოდნა

■ პირადი უნარ-ჩვევების ადაპტაციის უნარი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **22 ნოემბერი, სამშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

საცხოვრებელის უზრუნველყოფა სუფსაში იქნება შერჩეული კანდიდატის პასუხისმგებლობა.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**სუფსის ტერმინალის ადმინისტრაცია**
სოფ. გრიგოლეთი,
ლანჩხუთის რაიონი
**ან**
**კადრების განყოფილება**
BP Explorations Caspian Sea Ltd.
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38



# კურსი ეფექტური კრიზისული კომუნიკაციების მენეჯმენტში

ACT PR International

**ACT PR INTERNATIONAL**, "ემ-ჯი-აი მართვის ინსტიტუტთან" და "ამერიკის საზოგადოებასთან ურთიერთობის ასოციაციასთან" (პი-არ-ეს-ეი") ერთად ატარებს სერტიფიცირებულ კურსებს კრიზისული კომუნიკაციების ეფექტურ მენეჯმენტში.

ეს უნიკალური პროგრამა წარმოადგენს პროფესიული განვითარების დინამიურ და ინტერაქტიურ შესაძლებლობას, რომელიც შექმნილია საზოგადოებასთან ურთიერთობის PR სპეციალისტებისათვის.

თქვენ შეისწავლით დღევანდელი ბიზნეს-გარემოსათვის აქტუალური, კრიზისული კომუნიკაციების მენეჯმენტის საკვანძო პრინციპებს და სპეციალური სავარჯიშოებისა და პრაქტიკული ამოცანების მეშვეობით, შეძლებთ დანერგოთ მიღებული ცოდნა თქვენს ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში.

**ACT PR INTERNATIONAL**
**თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 27/29,**
**II სადარბაზო, I სართული,**
**ტელ:** +(995 32) 911 338 , +(995 32) 910698
**ფაქსი:** +(995 32) 223 191









Fare quoted is for a return economy flight departing from Tbilisi and excludes all taxes, fees and charges correct as at 26/10/05. Flights must be booked on or before 31/03/06 and outbound travel completed on or before 31/03/06. Fares are subject to availability and are non-refundable. For full terms and conditions, visit ba.com. Services operated by BMED.



# აშშ-ს ჯარები ერაყში გამარჯვებამდე დარჩებიან

**"ჩვენ ერაყში ტერორისტებთან მანამ ვიბრძოლებთ, ვიდრე არ გავიმარჯვებთ,"** - აღნიშნულია ამერიკული ჯარებისადმი ბუშის მიმართვაში, რომლითაც ის სეულის მახლობლად მდებარე ოსანის ავიაბაზაზე გამოვა. გამოსვლის ტექსტი თეთრმა სახლმა წინასწარ გაავრცელა

**"ჩვენ არ ვიცით, რა გველის ამ ბრძოლაში, ან კიდევ რამდენი მსხვერპლის გაღება მოგვიწევს. თუმცა, ვიცით, რომ თავისუფლების დაცვა მსხვერპლად ღირს. ვიცით, რომ თავისუფლების სიყვარული სამყაროში ყველაზე დიდი ძალაა და ვიცით, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს. ღმერთი გფარავდეთ,"** – ამ მაღალფარდოვანი სიტყვებით, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა, შაბათს სამხრეთ კორეაში მოქმედ ბაზაზე ამერიკელ ჯარისკაცებს მიმართა და განაცხადა, რომ მზარდი მსხვერპლის მიუხედავად ერაყიდან ჯარის გაყვანას არ აპირებს.



მზარდი მსხვერპლის მიუხედავად აშშ ერაყიდან ჯარის გაყვანას არ აპირებს.

აშშ-ს პრეზიდენტის შემართება გასაგებია – წინა დღეს ხომ კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ სრულად დაუჭირა მხარი ერაყში ამერიკული ჯარების გაურკვეველი ვადით დარჩენას.

ამერიკის კონგრესმა ხმების უმრავლესობით უარყო რეზოლუციის პროექტი, რომელიც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ამერიკის ჯარები ერაყიდან. დემოკრატი–კონგრესმენის, ვიეტნამის ომის ვეტერანის ჯონ მურტას ინიციატივას ერაყიდან ჯარების გამოყვანის შესახებ მხოლოდ სამმა კონგრესმენმა დაუჭირა მხარი, 403-მა კი დოკუმენტის წინააღმდეგ მისცა ხმა.

**"ჩვენი სამხედროები ერაყელებისთვის მტრები გახდნენ. ერაყის მიმართ პოლიტიკა უნდა შევცვალოთ,"** – ასე განმარტა მურტამ თავისი ინიციატივა. მისმა მოწოდებამ კონგრესში ცხარე დებატები გამოიწვია.

"დემოკრატთა" წინადადების პასუხად, "რესპუბლიკელებმა" პარასკევს კენჭისყრაზე დააყენეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც ერაყიდან ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანას ითვალისწინებს.

**"გვსურს დავრწმუნდეთ, რომ კონგრესი მხარს უჭერს ჩვენს სამხედროებს, რომლებიც ერაყში და ავღანეთში იბრძვიან,"** - განაცხადა წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა, რესპუბლიკელმა დენის ჰარსერტმა.

თავად მურტამ, ისევე როგორც "დემოკრატთა" უმრავლესობამ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა. მისი თქმით, ერაყიდან ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანა გონივრული არ არის, ეს პროცესი თანდათან, ექვსი თვის განმავლობაში უნდა განხორციელდეს.

კონგრესში ჩატარებულ კენჭისყრამდე ცოტა ხნით ადრე, ჯორჯ ბუშმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ერაყიდან ჯარების გამოყვანის წინააღმდეგია.

ჯორჯ ბუშის პოზიციას ლოგიკური ახსნაც აქვს - ერაყში კვლავაც გრძელდება ძალადობა. მაგალითად, შაბათს ბაქუბაში თვითმკვლელი მოიერიშეს თავდასხმას სულ მცირე 35 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. 40 ადამიანი დაიჭრა. თავდასხმა შიიტური დასაფლავების ცერემონიაზე მოხდა. უფრო ადრე, ბაღდადში მანქანაში ჩამონტაჟებული ბომბის აფეთქებას სულ მცირე 13 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. 21 ადამიანი დაიჭრა. აფეთქება დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ხალხმრავალ ბაზრობაზე მოხდა. ამ აფეთქებებს წინ პარასკევს მომხდარი თავდასხმა უძღვოდა - როდესაც ორმა თვითმკვლელმა მოიერიშემ მლოცველებით სავსე შიიტურ მეჩეთში თავი აიფეთქა, რასაც 80ზე მეტი ადამიანის ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

აშკარაა, ქვეყანაში, ფაქტობრივად, რელიგიური ომი წარმოებს რადიკალ სუნიტებსა და დანარჩენ მოსახლეობას შორის. სწორედ არსებული სიტუაციიდან გამოსავლის მოსაძებნად შეიკრიბნენ ერაყის პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები ქაიროში და ერაყელი ხალხის შერიგების გზებზე იმსჯელეს. თუმცა, თავიდანვე ნათელი იყო, რომ ეს შეხვედრა რაიმე შედეგს გამოიღებდა იქონიოს. მით უმეტეს, რომ ქაიროში რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების მოლაპარაკებებიც უთანხმოებით დაიწყო. მას შემდეგ, რაც ერთმა მონაწილემ შიიტ და ქურთ დელეგატებს "ამერიკის მორჩილები" უწოდა, დელეგატებმა მოლაპარაკების მაგიდა პროტესტის ნიშნად ცოტა ხნით დატოვეს.

*24 საათი*

# ცრემლიანი გაცილება

**გერმანიის ყოფილი კანცლერი თანამდებობიდან დიდი პატივით გააცილეს**

ჰანოვერში შაბათს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის გერჰარდ შრიოდერის საზეიმო გაცილება გაიმართა.

საზეიმო ღონისძიების ოფიციალური ნაწილი საღამოს, ადგილობრივი დროით 20.00 დაიწყო. შრიოდერის მშობლიური ქალაქის, ჰანოვერის რატუშის წინ, 135-მა გერმანელმა სამხედრო ანთებული მაშხალებით ხელში ჩაირა. ცერემონია სპეციალურად ქალბატონი შრიოდერის მიერ შერჩეული მუსიკალური ნაწარმოებების თანხლებით მიმდინარეობდა – ისმოდა ფრენკ სინატრას "My Way", არიები "სამგროშიანი ოპერიდან", გერშვინის ჰანგები და ა.შ.

თანამდებობიდან გაცილების ცერემონია (Grosser Zapfenstreich) XVI საუკუნიდან იღებს სათავეს, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან იგი სამხედროთა ტრადიციად იქცა.

დღეს ბუნდესვერი (გერმანიის შეიარაღებული ძალები) ასეთი პატივით ეპყრობა მხოლოდ იმ პირებს, "ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა შეიარაღებული ძალების განვითარებასა და გაძლიერებაში".

ჰელმუტ კოლის შემდეგ, გერჰარდ შრიოდერი მეორე კანცლერია გერმანიის ისტორიაში, ვისაც მსგავსი პატივით აცილებენ თანამდებობიდან. ცერემონიაზე დამსწრეებმა შენიშნეს, რომ ყოფილი კანცლერი ღონისძიებას ცრემლიანი თვალებით ადევნებდა თვალს.

ხვალ კი გერმანიაში გაიმართება ახალი კანცლერის მმართველობის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება. შეგახსენებთ, სექტემბერში ჩატარებულ რიგგარეშე არჩევნებში გერჰარდ შერიოდერის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მარცხი განიცადა და არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე ქრისტიან-დემოკრატების ალიანსს მიეცა ქვეყნის მმართველის დასახელების საშუალება. გერმანიას პირველად ისტორიაში ქალი-მმართველი – ანგელა მერკელი ეყოლება.

ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად!

შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!

- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე **6%** წლიური აშშ დოლარში და **8%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან

კამპანია 30.11.05 ძალაშია

ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!

- მიიღეთ **10%** წლიური დოლარში და **13,5%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან მსოფლიოს სამ კონტინენტზე

*მოკლედ*

## მაჰმადიან მესხებს აშშ-ში ცხოვრება სურთ

კრასნოდარის მხარეში მცხოვრები 7 ათასი მაჰმადიანი მესხი აშშ-ში გადასახლების სურვილს გამოთქვამს.

ამ მოთხოვნით აშშ-ს მთავრობას კრასნოდარის მხარეში დევნილის სტატუსით მცხოვრებმა მაჰმადიანმა მესხებმა მიმართეს. 2005 წელს აშშ-ში საცხოვრებლად კრასნოდარიდან დაახლოებით 5 ათასი მაჰმადიანი მესხი გადასახლდა.

მაჰმადიან მესხთა აშშ-ში გადასახლების საკითხებზე კრასნოდარის მხარის ვიცე-გუბერნატორმა ევგენი მურავიოვმა რუსეთში აშშ-ს საელჩოში დევნილთა საკითხების კოორდინატორთან ტიმოთი რიჩარდსონთან, რუსეთში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთან მარკ ჰეტჩელთან შეხვედრაზე იმსჯელა.

კრასნოდარის მხარის ვიცე-გუბერნატორის ევგენი მურავიოვის განცხადებით, მხარის ადმინისტრაცია მზადაა, აქტიურად ითანამშრომლოს მაჰმადიან მესხთა აშშ-ში გადასახლების საკითხებში აშშ-სა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. იგი ასევე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს აშშ-ს მთავრობა ანალოგიური პროგრამის განხორციელებას კრასნოდარის მხარეში მცხოვრები ქურთებისათვისაც გეგმავს.

მოსკოვის ჰუმანიტარულ და პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის ერთ-ერთი ანალიტიკოსი კრასნოდარიდან მაჰმადიან მესხთა აშშ-ში საცხოვრებლად გადასვლას, ხელისუფლების მხრიდან "არასასურველი ეთნიკური ჯგუფების მიმართ განხორციელებულ პატარა ეთნიკურ წმენდად" აფასებს. **"ამას მსუბუქ ეთნიკურ წმენდას დავარქმევდი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომელი ეთნიკური ჯგუფებია მისაღები და რომელი არა. ეს ხელისუფლება რასისტულ იდეოლოგიაზეა დაფუძნებული,"** - აცხადებს ალექსანდრე ოსიპოვი

მაჰმადიანი მესხები კრასნოდარის მხარეში ლეგალური სტატუსის გარეშე, წლებია, ცხოვრობენ. მათი სახლები უკანონო მშენებლობებად ითვლება. მათ არ შეუძლიათ ლეგალური მუშაობა, დაბადებულ ბავშვებს კი ოფიციალურად არ არეგისტრირებენ. სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში აშშ-ს მხარემ კრასნოდარის ხელისუფლება ადამიანის უფლებების დარღვევების გამო გააკრიტიკა

*24 საათი*

## რუსეთის პრეზიდენტს ტოკიოში ობსტრუქცია მოუწყვეს

ამომავალი მზის ქვეყანაში კვირას სამდღიანი ვიზიტით ჩასულ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს საპროტესტო აქციებით დახვდნენ. ტოკიოს ცენტრში, სადაც პრეზიდენტ პუტინის თანმხლები დელეგაცია განლაგდა, იაპონელმა ულტრამემარჯვენეებმა დემონსტრაცია მოაწყვეს.

დემონსტრანტები იაპონიისთვის ე.წ. ჩრდილოეთის ტერიტორიების (ასე უწოდებენ იაპონიაში კურილის კუნძულებს) დაბრუნებას მოითხოვენ. საუბარია კურილიის არქიპელაგის ოთხ კუნძულზე. ესენია: იტურუპი, კუნაშირი, შიკოტანი და ხაბომაი.

იაპონელი დემონსტრანტები ეროვნული დროშებით იყვნენ "შეიარაღებულნი". ისმოდა სკანდირება და შეძახილები – "დაგვიბრუნეთ ჩრდილოეთი ტერიტორიები", "ივან სახლში!" "რუსებო სახლში!". აქციის ზოგიერთმა მონაწილემ პოლიციის კორდონის გარღვევაც სცადა, თუმცა სამართალდამცველებმა ისინი დააკავეს.

უკვე დიდი ხანია, მსგავსი აქციები იაპონიაში ჩასული რუსეთის ყველა დელეგაციისთვის ერთგვარ აკომპანიმენტად იქცა – უფრო მეტიც, ასეთივე აქცია, მსგავსი შეძახილებით, რუსეთის პრეზიდენტის თვითმფრინავის დაშვებამდე ცოტა ხნით ადრე ტოკიოში, რუსეთის საელჩოსთანაც გაიმართა.

გარკვეული დროის განმავლობაში საელჩო, ფაქტობრივად, პარალიზებული იყო. რუსეთის ელჩმა ტოკიოში ალექსანდრ ლუსკოვმა დასახმარებლად ტოკიოს პოლიციის მთავარ სამმართველოს მიმართა. ელჩი ტოკიოს აეროპორტში რუსეთის დელეგაციის დახვედრას ვერ ახერხებდა.

ამჟამად სასტუმროს, სადაც პრეზიდენტ პუტინის თანმხლები დელეგაცია განლაგდა, პოლიციის დამატებითი ძალები იცავს.

*24 საათი*

## აშშ ანდიჟანის მოვლენებს უარყოფითად აფასებს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უარყოფითად შეაფასა უზბეკეთის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც 2005 წლის მაისში, ანდიჟანში გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობისთვის 15 მოქალაქეს პატიმრობა შეეფარდა.

**"არასაკმარისი მტკიცებულებებით გამართული სასამართლო პროცესი მხოლოდ არასამართლიანი სასამართლოებისთვის არის დამახასიათებელი,"** - განაცხადა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ადამ ერელიმ. მისივე თქმით, სასამართლოებს, რომლებსაც, სავარაუდოდ, ადგილობრივი ხელისუფლება მართავდა, აშშ მოუწოდებს, გაითვალისწონოს საერთაშორისო სტანდარტები.

აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა ეუთოში აშშ-ის წარმომადგენელი ჯული ფინლი, რომელმაც დაადასტურა სახელმწიფო დეპარტამენტის აღშფოთება.

გარდა ამისა, მან მოითხოვა ანდიჟანში განვითარებული მოვლენების შესასწავლად, ჩატარდეს საგამოძიებო, დამოუკიდებელი კვლევა, ვინაიდან არსებობს ინფორმაცია, რომ ადგილობრივმა სამართალდამცავებმა აქციების დარბევის დროს ასეულობით მოქალაქე გამოსალმეს სიცოცხლეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

**ახალ მისამართზე გადასვლის გამო გაცნობებთ, რომ ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში არ იმუშავებს ამა წლის 23 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე.**

**ამა წლის 2 დეკემბრიდან საელჩო გაიხსნება შემდეგ მისამართზე:**

**თელავის ქ.N 20, "სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი"**
**(შესასვლელი უკანა მხრიდან, ბრიტანეთის საელჩოს ყოფილ ტერიტორიაზე)**

**UNOMIG** **МООННГ**

United Nations Observer Mission in Georgia
МИССИЯ ООН ПО НАБЛЮДЕНИЮ В ГРУЗИИ

## განცხადება

გაეროს დამკვირვებელთა მისიას საქართველოში ესაჭიროება კონტრაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ტაქსით მომსახურებას თბილისის ოფისისათვის.

შესაბამის ტაქსის სამსახურებს, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან მონაწილეობა მიიღონ ტენდერში, შეუძლიათ მიიღონ სატენდერო საბუთები გაეროს დამკვირვებელთა მისიის თბილისის ოფისის ადმინისტრაციაში, კრწანისის 38, თბილისი, 14 ნოემბრიდან 2005 18 ნოემბრის ჩათვლით.

შევსებული საბუთები მოგვაწოდეთ დაბეჭდილ კონვერტში, არა უგვიანეს 24 ნოემბრისა, ადგილობრივი დროით 12.00 საათამდე გაეროს დამკვირვებელთა მისიის თბილისის ოფისის ადმინისტრაციაში.

"Impartial, Informative, Insightful"
The Messenger
Georgia's English Language Daily
Tel.: 93 91 69

ნარკომანიის წინააღმდეგ

ფეხბურთი

# "ტორპედო" ისევ ლიდერობს

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ერთმანეთს თბილისის "ლოკომოტივი" და "ბორჯომი" დაუპირისპირდნენ. ამ თამაშს ორივე გუნდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩემპიონატი დასკვნით ფაზაში შევიდა და ახლა ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

პირველი ტაიმი მეტად უსახური გამოდგა. მეტოქეები დიდ მნიშვნელობას დაცვას ანიჭებდნენ და შეტევებზე ნაკლებად იყვნენ ორიენტირებულნი. მცირე ტერიტორიული უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო, მაგრამ "ლოკომოტივმა" ღირებული ვერაფერი შექმნა. ასე წარიმართა თამაში, ვიდრე როინ ონიანმა არ ისარგებლა ბორჯომელი მცველების უყურადღებობით და ანგარიში არ გახსნა.

მეორე ტაიმი უკვე საინტერესო გამოდგა და მაყურებელმაც მრავლად იხილა თვალსასეირო მომენტები, ლამაზი კომბინაციები, უშეღავათო ბრძოლა, სახიფათო დარტყმები. ბორჯომელებს დებიუტშივე ხელსაყრელი მომენტი შეექმნათ, მაგრამ რკინიგზელთა მეკარემ ითამაშა ზუსტად. ამის მიუხედავად სტუმრებმა გოლი მაინც გაიტანეს. 58-ე წუთზე ჯიქიამ ზუსტი გადაცემით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ქორიძე, რომელმაც გაათანაბრა კიდეც ანგარიში - 1:1.

68-ე წუთზე სკანდალი მოხდა - ბორჯომელებმა დაცვაში შეუთანხმებლად ითამაშეს, ბურთი სირაძეს მიუვიდა, რომელმაც მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი. თითქოს გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მეკარემ უკანასკნელ წამს ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა. მასპინძლები მსაჯს ბურთის ჩათვლას სთხოვდნენ, მაგრამ მატჩის არბიტრი შეუვალი იყო. თამაშის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე "ლოკომოტივმა" მაინც გაიტანა. გოლი სირაძის ანგარიშზეა. მასპინძლები დაწინაურდნენ და თამაში გამარჯვებამდეც მიიყვანეს. რკინიგზელებს კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ სტუმართა კარის აღება, მაგრმა მეკარე მამალაძეს ვერ აჯობეს. ბორჯომელთა კარის დარაჯი იმ მატჩში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. თუმცა "ლოკომოტივმა" საბოლოო ჯამში მაინც გაიმარჯვა - 2:1.

ტურის დანარჩენი შეხვედრებიდან აღსანიშნავია ბოლნისელთა გამარჯვება სტუმრად თბილისის "ამერთან" შეხვედრაში. ერთადერთი გოლი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ქუცურუამ გაიტანა. გორში უპრობლემოდ იმარჯვა გათამაშების ლიდერმა "ვიტ ჯორჯიამ" და ერთპიროვნული ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა.

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ოთარ მარცვალაძემ თავის ანგარიშზე დუბლი მიითვალა. ერთი გოლი კი დათუნაშვილმა გაიტანა. მასპინძელთაგან თავი ხანიშვილმა გამოიჩინა - 1:3. ფოთში ორი ქულა დაკარგა თბილისის "დინამომ", რომელმაც "კოლხეთს" ვერაფერი მოუხერხა - 0:0. ასევე უგოლოდ დასრულდა "ბათუმისა" და "ცხინვალის" შეხვედრა.

ფრე დაფიქსირდა "კახეთისა" და "თბილისის" მატჩშიც ოღონდ - 1:1. თბილისელები ლილუაშვილის გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ მატჩის მეორე ნახევარში სოსელიამ გაათანაბრა ანგარიში. ქუთაისის "ტორპედომ" ჯანაშიას ერთადერთი გოლით სძლია "სპარტაკს", ხოლო "ზესტაფონმა" იმავე ანგარიშით სტუმრად დაამარცხა "სოხუმი". გოლი მატჩის მიწურულს იონანიძემ გაიტანა.

# რონალდინიო: "ბერნაბეუს" აპლოდისმენტები არასოდეს დამავიწყდება"

უქმეებზე მორიგი "კლასიკო" მადრიდის "რეალის" ფიასკოთი დასრულდა. "ბარსამ" ფაქტობრივად ცალი ფეხით დაამარცხა თავისი საუკუნო მეტოქე და ეს იმდენად შთამბეჭდავად გააკეთა, რომ ამ მატჩის მთავარ გმირსა და სტუმართა გამარჯვების უმთავრეს შემოქმედ რონალდინიოს "სანტიაგო ბერნაბეუმ" ოვაციები მოუწყო. ბრაზილიელი შოკირებული დარჩა "რეალის" გულშემატკივართა მისდამი დამოკიდებულებით, რომლებიც ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდნენ რონალდინიოს მიერ მეორე გატანილი გოლის შემდეგ.

**- რას გრძნობდი, როცა მთელი "სანტიაგო ბერნაბეუ" ფეხზე ამდგარი ტაშს გიკრავდა?**

- სიმართლე გითხრათ, ამის სიტყვებით გადმოცემა რთულია. ამ მომენტს არასოდეს დავივიწყებ! უაღრესად კმაყოფილი ვარ, რადგან ბევრი ფეხბურთელი ვერ დაიკვეხნის იმით, რომ მეტოქის გულშემატკივარმა ტაში დაუკრა. დღეს საოცარი საფეხბურთო საღამო იყო. ასევე ფანტასტიკური იყო მადრიდის "რეალის" გულშემატკივართა აპლოდისმენტები. მათი ტაში იმის მაჩვენებელია, რომ ისინი დიდი ადამიანები არიან.



**- წარმოგედგინა, რომ ასეთ გამარჯვებას მიაღწევდით?**

- არა და უნდა ვაღიარო, რომ გამარჯვება არც ისე იოლად მოგვიპოვებია, როგორც ტაბლოდან ჩანს. იმისთვის, რომ - 0:3 მოგვეგო ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოგვეყენებინა ჩვენი შანსი. განსაკუთრებით კონტრშეტევებზე. ჩვენ დამაჯერებლად გავიმარჯვეთ, მაგრამ მადრიდის "რეალს" პატივი უნდა ვცეთ, რადგან ის შესანიშნავი გუნდია და წინ კიდევ დიდი დროა. არავინ იფიქროს, რომ ამ მარცხის შემდეგ ისინი ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ. თანაც ჩემპიონის ტიტული არც ჩვენ გვიდევს ჯიბეში.

**- "ბარსამ" შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ შენ გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდი...**

- გმადლობთ ასეთი სიტყვებისთვის, მაგრამ მიმაჩნია, რომ გამარჯვებაში წვლილი მთელ გუნდს მიუძღვის, ამიტომ უნდა მივულოცოთ და მადლობა მოვახსენოთ ყველა ფეხბურთელს, რომელიც მინდორზე ჩემს გვერდით იმყოფება და ვინც სათადარიგოთა სკამზე ზის. ჩვენ შესანიშნავი მატჩი ვითამაშეთ. ეს მართალია. ხოლო ის, რომ ორი გოლი გავიტანე, მოვლენების განვითარებამ განაპირობა, რადგან ეს გოლები ჩემს ნებისმიერ პარტნიორს შეეძლო გაეტანა.

**- არ არის საჭირო დააკნინო ამ მატჩში შენი მნიშვნელობა. ამას გარდა, შენ "ოქროს ბურთს" გადმოგცემენ...**

- ეს მართალია. მე მინდორზე უაღრესად კომფორტულად ვგრძნობ თავს და ფეხბურთით სიამოვნებას ვიღებ. ვფიქრობ, ეს შესამჩნევია. თუმცა გულწრფელად რომ გითხრათ, მე მხოლოდ ის გავაკეთე, რაც რაიკაარდმა მთხოვა. მე უბრალოდ შევეცადე გუნდისთვის, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მომეტანა. რაც შეეხება "ოქროს ბურთს", მის მოპოვებას ყოველი ფეხბურთელი ცდილობს. მე ძალიან მესიამოვნებოდა, თუ ამ ჯილდოს მივიღებდი.

კალათბურთი

# ფაჩულია - თამაშობს, "ატლანტა" - აგებს

მამუკა ხოშტარია

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი თამაშები გამართეს ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა" და ნიკა ცქიტიშვილის "მინესოტა ტიმბერვულვზმა".

ზაზამ 17 ნოემბერს 2 პირადი რეკორდი დაამყარა: ითამაშა 42 წუთი და გააკეთა 21 ქულა. ეს მოვლენა დალასში ადგილობრივ "მავერიქსთან" შეხვედრაში მოხდა. თუმცა ამან "ატლანტას" ვერ უშველა და "ჰოუქსმა" ზედიზედ მერვე შეხვედრა დათმო. 78 : 87. ფაჩულიას გუნდმა, დაცვაში კარგი თამაშის წყალობით, პირველი მეოთხედი 16-11 მოიგო, მაგრამ... ეს იყო და ეს. ამის შემდეგ დალასმა, ძირითადად გუნდის ლიდერის, გერმანელი დირკ ნოვიცკის მეშვეობით მატჩში გარდატეხა შეიტანა, თავდასხმაში თამაში დაალაგა და შეხვედრის თავის სასარგებლოდ დამთავრება აღარ გაჭირვებია. ზაზამ 21 ქულასთან ერთად, 12 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ამ უკანასკნელი მაჩვენებლით ქართველი გუნდში საუკეთესო იყო, რაც თავისთავად, არ შეიძლება ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს, რადგან ზაზა ცენტრია და მისი მოვალეობა შედეგიანი გადაცემების კეთება ყველაზე ნაკლებად არის. კალათბურთი გუნდური სპორტია. "ატლანტას" გამთამაშებლებს ვინმემ რომ ეს შეახსენოს, ზედმეტი ნამდვილად არ იქნება. უკანახაზელთა წყვილიდან ჯო ჯონსონს მხოლოდ ქულების კეთებაზე უჭირავს თვალი, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგი შედეგიანობით ყოველთვის გამოირჩევა. "ჰოუქსის" მეორე გამთამაშებელს, ორი ნომრის პოზიციაზე მოთამაშე ჯოშ ჩაილდრესს მოედანზე საერთოდ რა ევალება, ძნელი სათქმელია: იგი არც სნაიპერულ თვისებებს (რაც ამ პოზიციის მოთამაშისთვის აუცილებელია) ავლენს დიდად და არც გუნდის კომბინაციური თამაშის დალაგებაში იღებს მონაწილეობას.

მეცხრე მარცხი "ატლანტამ" 18 ნოემბერს, ოკლაჰომა სიტიში იწვნია. ამ ქალაქში საშინაო თამაშებს, ნიუ ორლეანში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ "ნიუ ორლეან ჰორნეთსი" მართავს. ზაზა კვლავ კარგად გაისარჯა და თამაში მორიგი ორმაგი დუბლით დაასრულა. ფაჩულიას ანგარიშზე 37 წუთში 10 ქულა, 14 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა და 1 დაფარებაა. რაც შეეხება თვითონ შეხვედრას, "ჰორნეთსი" სულ იგებდა და სხვაობასაც ნელ-ნელა ზრდიდა. მეოთხე მეოთხედის წინ ტაბლოზე 72 : 50 ენთო მასპინძელთა სასარგებლოდ. ამ მომენტში ალბათ ბევრს მოეჩვენა, რომ თამაშმა აზრი დაკარგა და "კრაზანები" ადვილ გამარჯვებას მოიპოვებდნენ. ასე არ ფიქრობდა "ატლანტას" ახალწვეული სალიმ სტაუდმაიერი. სწორედ მისი კარგი თამაშის წყალობით "ქორებმა" ბოლო პერიოდი 42 : 23 მოიგეს, თუმცა საბოლოო გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა: 95 : 92 "ჰორნეთსის" სასარგებლოდ. "ჰოუქსის" სასტარტო ხუთეულში მოთამაშე უკანახაზელებს რომ გუნდის შეტევების დალაგება დიდად არ ეხერხებათ, ამაზე უკვე ვილაპარაკეთ, როგორც ჩანს, ცუდი მაგალითი გადამდებია, ჭკვიანური თამაშით "ატლანტას" სათადარიგო გამთამაშებლებიც ნამდვილად არ გამოირჩევიან. "ჰოუქსის" ოთხმა უკანახაზელმა საერთო ჯამში, ამ შეხვედრაში სულ 3 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. საეთოდ გუნდმა კი 10, რაც კატასტროფული შედეგია. "ჰორნეთსის" შემადგენლობიდან მარტო კრის პაულს დაუგროვდა 12 პასი. ამ სიტუაციაში ზაზას შედეგიანობა მით უფრო დასაფასებელი ხდება, რადგან იგი მხოლოდ ინდივიდუალური თამაშის ხარჯზე ახერხებს ქულების დაგროვებას. ქართველი, მოწინააღმდეგის ფარზე მოხსნილი ბურთების მიხედვით ლიგაში მეორეა. "ჰორნეთსთან" მატჩში ზაზამ თავის ამერიკულ კარიერაში მეორე სამქულიანი ტყორცნა შეასრულა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ამჯერად მოახერხა მისი ჩაგდება. ასევე მიიღო სეზონში პირველი ტექნიკური შენიშვნა.

ნიკა ცქიტიშვილის "მინესოტამ" ბოლო ორი თამაში მოიგო და ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონში ლიდერობა დაიბრუნა. სამწუხაროდ, ქართველს კვლავ არ უთამაშია. ჩვენებური ჯერ-ჯერობით "ტიმბერვულვზის" წინა სამატჩო განაცხადშიც ვერ ხვდება და დიდი ძალისხმევა მართებს გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად. იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში სიტუაცია გამოსწორდება და ნიკას კვლავ ვიხილავთ მოედანზე.

**სხვა მატჩების შედეგები:**

"კლივლენდ კავალიერსი" 123 : 120 "ფილადელფია 76"
"ვაშინგტონ უიზარდსი" 83 : 89 "ნიუ-ჯერსი ნეთსი"
"შარლოტ ბობკეტსი" 89 : 102 "მინესოტა ტიმბერვულვზი"
"დეტროიტ პისტონსი" 82 : 119 "დალას მავერიკსი"
"ფინიქს სანზი" 91 : 97 "სან-ანტონიო
"მემფის გრიზლის" 80 : 72 "იუტა ჯაზი"

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 331839, 331939, ფაქსი: 331934, E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს "გლობალური ფონდის" პროექტის "*აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში*" (პროექტი: N-GEO202-G01-H-00), "*მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2004-2006 წლებში*" (პროექტი: N-GEO304-G02-M-00) და "*DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში*" (პროექტი: N-GEO-405-G03-T) პროგრამის ფარგლებში ტესტ-სისტემების, რეაგენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების (სახარჯი მასალა, რეაგენტები/ტესტები ლაბორატორიული კვლევებისათვის) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი).

3. შესყიდვის ობიექტია:

| ლოტი N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა (ტესტი /ლიტრი /ცალი /კომპლექტი/ ქილა) |
|---|---|---|
| ლოტი I | ტესტ-სისტემები აივ ინფ[illegible] | 336 ტესტი |
| ლოტი II | ტესტ-სისტემები ციტოფლუორიმეტრული მეთოდით CD3, CD4, CD8 ლიმფოციტების [illegible] | 800 ტესტი |
| ლოტი III | ტესტ-სისტემები [illegible] | 30 ტესტი |
| ლოტი IV | [illegible] IgG ([illegible], 1X96 ანალიზზე) | 2 კომპ. |
| | [illegible] IgM ([illegible], 1X96 ანალიზზე) | 2 კომპ. |
| | [illegible] RPR (1X500 ანალიზზე) | 1 კომპ. |
| | [illegible] TPHA [illegible] (1X400 ანალიზზე) | 1 კომპ. |
| | ექსპრეს-ტესტი (ანტი-HIV 1/2) [illegible] | 650 ტესტი |
| ლოტი V | ერთჯერადი ხელთათმანი, არასტერილური (ლატექსი) | 2750 წყვილი |
| | კონტეინერი ([illegible]) | 110000 ცალი |
| ლოტი VI | 96%-იანი ეთილის სპირტი (5-20 ლ [illegible]) | 20 ლიტრი |
| | 96%-იანი ეთილის სპირტი (100 მლ [illegible]) | 80 ფლაკ. |
| | 95%-იანი ეთანოლი | 3 ლიტრი |
| | 100%-იანი ეთანოლი (200 proof [illegible]) | 1 ლიტრი |
| | 100%-იანი იზოპროპანოლი | 2 ლიტრი |
| | [illegible] (DNase/RNase free) | 2 ლიტრი |
| | [illegible] 200 გრ) | 2 კომპ. |
| | [illegible] N100 [illegible] | 5 ფლაკ. |
| | სისხლის ასაღები 4 მლ-იანი ვაკუუმური სინჯარა ("EDTA"-ის შემცველობით) | 1940 ცალი |
| | 20 მკლ-იანი ფილტრიანი ბუნიკი (სტერილური, N1000) | 7 შეკვრა |
| | 100 მკლ-იანი ფილტრიანი ბუნიკი (სტერილური, 100%) | 2 შეკვრა |
| | 200 მკლ-იანი ფილტრიანი ბუნიკი (სტერილური, 100%) | 32 შეკვრა |
| | 1000 მკლ-იანი ფილტრიანი ბუნიკი (სტერილური, 100%) | 32 შეკვრა |
| | 1.5 მლ-იანი სინჯარა ([illegible] PCR-ისათვის) | 500 ცალი |
| | 2 მლ-იანი სინჯარა ([illegible] PCR-ისათვის) | 2000 ცალი |
| | 0.2 მლ-იანი სინჯარა (PCR-ისათვის) | 1700 ცალი |
| | თავსახურები 0.2 მლ-იანი PCR-ის სინჯარებისათვის | 1700 ცალი |
| | 2-200 მკლ-იანი [illegible] (ერთჯერადი, N500) | 66 კომპ. |
| | 200-1000 მკლ-იანი [illegible] (ერთჯერადი, N500) | 24 კომპ. |
| | [illegible] 24X24, N100) | 10 კომპ. |
| | [illegible] 10 მკლ, სტერილური, N20) | 100 კომპ. |
| | [illegible] (P&P [illegible] N1-2) | 1500 ცალი |
| | ბამბა, [illegible] (50 გრ) | 160 ცალი |
| | ერთჯერადი შპრიცი, ნემსით, სამი კომპონენტიანი, 3 ml, 23-26G | 1900 ცალი |
| | სინჯარა, 10 მლ | 1000 ცალი |

4. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს 6 კვირისა.

მიწოდების პირობა: "DDP - მიწოდების ადგილი", მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და მისამართის შესაბამისად.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებიული ასლი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 6 დეკემბრის 10:00 საათიდან 7 დეკემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება და ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

6.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი, ფაქსი, E- Mail;

ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, განცხადებაში მითითებული საქონლის მიწოდებისათვის აუცილებელი ლიცენზიის /ნებართვის /სერთიფიკატის /რეგისტრაციის მოწმობასთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში);

დ) ვალდებულებას, რომ განცხადებაში მითითებული საქონლის საქართველოში რეგისტრაციის არ არსებობის შემთხვევაში განახორციელებს მის რეგისტრაციას, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში).

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას მე-6 მუხლში აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 8 დეკემბრის 10:00 საათიდან 9 დეკემბრის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

10. პრეტენდენტს უფლება აქვს წარადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო გულუა, ნინო მდივანი, დავით აბდუშელიშვილი მისამართზე ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, ტელეფონი: 388210, 388220, ფაქსი: 331939.

TELIANI VALLEY ნარკომანიის წინააღმდეგ

FM იცნობი 98.0

# ეკა და რუსეთი

**ეკა კვესიტაძე**: დღეს დიალოგების სტუმარია გაზეთ "24 საათის" რედაქტორი პაატა ვეშაპიძე. ქართველი პოლიტიკოსები ღიად აცხადებენ, რომ ადგენენ ე.წ. "შავ სიას", სადაც იმ რუს პოლიტიკოსებს შეიყვანენ, რომლებიც საქართველოში არ უნდა ჩამოვიდნენ. ამ თემაზე პარლამენტში ადრეც საუბრობდნენ. იყო თუ არა ეს ადეკვატური რეაგირება საქართველოს პარლამენტის მხრიდან?

**პაატა ვეშაპიძე**: ვფიქრობ, ეს ემოციურ ფონზე გაკეთებული განაცხადი უფრო იყო. ასეთი გადაწყვეტილება ჩვენმა პარლამენტმა არ უნდა მიიღოს. მიტროფანოვი, ჟირინოვსკი და მისი მსგავსნი არ ქმნიან რუსულ პოლიტიკას. მათ საქართველოში ჩამოსვლა კიდეც რომ აეკრძალოთ, ამით რუსულ პოლიტიკაზე ზეგავლენას მაინც ვერ მოვახდენთ. ყველა ხედავს, რომ ეს ადამიანები არასტანდარტულად, საერთაშორისო ნორმების არაშესაბამისად, არადიპლომატიურად და თავხედურად იქცევიან. ჩვენ იგივე არ უნდა გავიმეოროთ.

**ეკა კვესიტაძე**: მახსოვს, მსგავსი რამ უკრაინელებმაც განაცხადეს: ეს ადამიანები ჩვენს საქმეში ცუდად ერევიან და მათ ქვეყანაში არ შემოვუშვებთო.

**პაატა ვეშაპიძე**: სიის შედგენა სხვა მოვლენაა, თუმცა ცალკე პერსონებისგან შემდგარი არასასურველი სტუმრების დასახელება მიღებული პრაქტიკაა. სიის შედგენა არაეთიკურია, შეიძლება ამაში ვინმე შემედავოს კიდეც, - რა დროს ეთიკაზე საუბარიაო... ერთ შემთხვევას გავიხსენებ. 80-იანებში რეზო თაბაკუშვილმა ექვთიმე თაყაიშვილზე გადაღებული ფილმების პრემიერისას კინოს სახლში განაცხადა, რომ გერმანია-ავსტრიიდან ჩამოიტანა უამრავი ფოტოსლაიდი, რომელიც ტაო-კლარჯეთსა და თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ-სომხურ კულტურულ ძეგლებს ასახავდა. ეს მასალა მან ქართულ და სომხურ მეცნიერებათა აკადემიას გადასცა. დარბაზში შეკრებილ ინტელექტუალურ ელიტაში ატყდა ჩოჩქოლი – სლაიდები სომხებს რატომ მიეცითო, იმათ რომ ჩვენი წამოეღოთ, ხომ არ მოგვცემდნენო... მოკლედ, იმის თქმა მინდოდა, რომ სხვებივით ცუდად არ უნდა მოვიქცეთ. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი რუსებს მივბაძოთ.

**ეკა კვესიტაძე**: თუმცა ასეთ სიტუაციას ხშირად ეროვნული თავმოყვარეობისა და საკუთარი ღირსების შელახვას უკავშირებენ. წლების განმავლობაში რუსულ-ქართულ ურთიერთობებთან დაკავშირებული კითხვები არ იცვლება, ანუ ეს ურთიერთობა არ ვითარდება?

**პაატა ვეშაპიძე**: საკუთარი ღირსება უამრავ რამეში გვაქვს დასაცავი... რაც მოგახსენეთ, ჩემი სუბიექტური აზრია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები 1993 წლიდან თითქოს არ შეცვლილა.

**ეკა კვესიტაძე**: რა მიზეზით?

**პაატა ვეშაპიძე**: სინამდვილეში რუსეთის პოლიტიკური ვექტორები ბოლო 10-15 წლის განმავლობაში არ შეცვლილა ირანთან, ჩინეთთან და ინდოეთთან ურთიერთობაში. ამასობაში მსოფლიო წინ წავიდა. მაგალითად, იგივე ჩინეთის ურთიერთობები აშშ-სთან და ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში შეიცვალა... რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, მისი ტერიტორიები მითვისებულია რუსეთის მიერ. ამიტომ ვიდრე ეს პრობლემა არ გადაიჭრება, მოლაპარაკებები, რომლებსაც ვაწარმოებთ, მუდამ ჩიხში იქნება.

**ეკა კვესიტაძე**: საქართველოს არ აქვს იმის ძალა, რომ ეს ურთიერთობები მოაგვაროს?

**პაატა ვეშაპიძე**: ძალა აქვს. ამას მოწმობს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ბაზების გაყვანის პრეცედენტი. ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ პროცესი ბოლომდე არ არის მიყვანილი. არც იმისგან ვართ დაზღვეულნი, რომ რუსები რაიმე ახალს არ მოიგონებენ. მაგალითად, ცოტა ხნის წინ დუმაში ააგორეს სკანდალი, რომელიც თითქოსდა გაუფორმებელ ხელშეკრულებას ეხებოდა.

**ეკა კვესიტაძე**: თითქმის არ მახსენდება წამყვან უცხოურ გაზეთში ქართული ავტორის მიერ დაბეჭდილი წერილი, რომელიც ამ პრობლემებზე იქნებოდა ფოკუსირებული. ჩვენი უცხოელი ლობისტებიც აცხადებენ, რომ ამ ასპარეზზე ქართველები ძალიან ვპასიურობთ.

**პაატა ვეშაპიძე**: გეთანხმებით.

**ეკა კვესიტაძე**: ხშირად მსმენია, რომ პუტინის დრო წავა და მოვა ახალი თაობა, რომელიც რუსულ პოლიტიკას თვისობრივად შეცვლის. არსებობს სინამდვილეში ასეთი თაობა?

**პაატა ვეშაპიძე**: სამი საათის განმავლობაში ვუსმენდი პუტინის ადმინისტრაციის უფროსს, ვოლოშინს, ბევრ თემაზე ვისაუბრეთ. მილაპარაკია როგოზინთანაც. ისინი კვლავ "დერჟავულად" აზროვნებენ. მისაუბრია რუს ჟურნალისტებთან, რომლებიც სულ სხვა რაკურსით აფასებენ ჩეჩნეთის, რუსეთისა და დასავლეთის პრობლემატიკას.

**ეკა კვესიტაძე**: რუსეთის პოზიცია პოსტსაბჭოთა სივრცეში – შეიცვალა თუ არა ის ბოლო წლების განმავლობაში? საქართველოში და უკრაინაში მომხდარი დემოკრატიული პროცესები შეიძლება თუ არა, იყოს გადამდები სხვა ქვეყნებისთვის და თუ მოასუსტებს ეს რუსეთის პოზიციებს?

**პაატა ვეშაპიძე**: გარკვეული პოზიციები რუსეთმა მართლაც შეასუსტა. დემოკრატიულმა პროცესებმა ის აიძულეს, აღმოსავლეთისკენ გაეხედა. სამშაბათს რუსეთსა და უზბეკეთს შორის დაიდო უპრეცედენტო ხელშეკრულება, სადაც გარკვევით ეწერა, რომ იმ შემთხვევაში, თუ უზბეკეთის რეჟიმს რაიმე საფრთხე დაემუქრება, რუსეთი მის საქმეებში ჩაერევა და ის მოაგვარებს. თავად რუსი ანალიტიკოსებიც კი გაოგნებულები დარჩნენ.

**ეკა კვესიტაძე**: როგორ შეაფასებთ აზერბაიჯანში ჩატარებულ არჩევნებს, რომლებიც ვერანაირ დემოკრატიულ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს?

**პაატა ვეშაპიძე**: ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ ეს პროცესი ნეგატიურად შეაფასა, რა თქმა უნდა, რუსეთის გარდა. საერთოდ, შუა აზიის ქვეყნები მიდრეკილნი არიან ავტორიტარიზმისკენ და ამას თავისი ახსნა აქვს. ეს ყველაფერი ძალიან ნიშანდობლივია თავად რუსული პოლიტიკის მომავლის განსაზღვრისთვის. იგივე პროცესები აზერბაიჯანშიც რომ განვითარდეს, საქართველო იზოლაციაში მოექცევა, რადგან ჩვენი ეკონომიკა ძირითადად ტრანზიტზეა დამოკიდებული. ამიტომ, რუსული სტრატეგია სწორედ აქეთკენ არის მიმართული.

**ეკა კვესიტაძე**: თუმცა აზერბაიჯანთან მიმართებაში ამერიკა კატეგორიული არ ყოფილა.

**პაატა ვეშაპიძე**: ამერიკამ თავისი პარტია ითამაშა. მკვეთრი განცხადება არც სახელმწიფო დეპარტამენტს გაუკეთებია. აშშ-მ რუსეთს უნდა დაასწროს და აზერბაიჯანი ეკონომიკურად მიაბას დასავლეთის ბაზრს. თუ ეს მოასწრო, მაშინ რუსეთის გავლენა ამ ქვეყანაზე შესუსტდება.

**ეკა კვესიტაძე**: ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ იყო დემოკრატიის გავრცელების მოლოდინი, მაგრამ ამას გაგრძელება არ მოჰყოლია. რამდენად მდგრადია ის დემოკრატიული პროცესები საქართველოში, რომელიც ვარდების რევოლუციას მოჰყვა?

**პაატა ვეშაპიძე**: რევოლუციის ორგანიზება სულ სხვაა, სახელმწიფოსი – სულ სხვა. სახელმწიფოს ჰქონდა დაპირებები, მაგრამ მათი შესრულების მოლოდინი მიამიტობა იყო. თუ საარჩევნო კანონმდებლობის, თვითმმართველობის, სასამართლო რეფორმის თვალსაზრისით ნაბიჯები უკან გადავდგით, სახელმწიფო ვერ მომაგრდება, ვერ აშენდება.

## ვენის ოპერა ზეიმობს



სოფო კილასონია

ბოლო რამდენიმე დღეა, რაც ვენა საკუთარი შტატსოპერის განახლებიდან 50 წლისთავს ზეიმობს. ორმოცდამეათე დაბადების დღეა მას შემდეგ, რაც თეატრი მეორე მსოფლიო ომის დროს დაინგრა და ხელახალი რეკონსტრუირება განიცადა. საიუბილეო თარიღი ოპერის თეატრში მსოფლიო დონის ხმებითა და მათი გალა კონცერტით აღინიშნა. კონცერტში პლასიდო დომინგოსთან ერთად, ტომას ჰამპსონი, აგნეს ბალთსა, ედიტა გრუბეროვა და კიდევ არაერთი გამოჩენილი ვოკალისტი მონაწილეობდა.

ვენის თეატრი 1945 წლის 12 მარტს, დაბომბვის შედეგად სრულიად დაინგრა. იგი მხოლოდ 1955 წლის 5 ნოემბერს გაიხსნა და მას შემდეგ ავსტრიული კულტურის უმთავრეს სიმბოლოდ იქცა. "თეატრის განახლება, თავის დროზე, იყო ნიშანი იმისა, რომ ავსტრიელი ხალხი ისევ ცოცხალი იყო და იქიდან აგრძელებდა ცხოვრებას, სადაც ომის დროს გაჩერდა," - წერს თეატრის დირექტორი ლოან ჰოლენდერი და აგრძელებს, რომ შტატსოპერა "ავსტრიული იდენტურობის მთავარი ელემენტია."

გალა კონცერტზე წარმოდგენილი იყო ნაწყვეტები იმ ოპერებიდან, რომლებიც 1955 წლის თეატრალურ სეზონზე გადიოდა. შაბათს საღამოს ვენის ოპერის თეატრის მსმენელმა და მაყურებელმა იხილა ეპიზოდები მოცარტის "დონ ჟოვანიდან", ბეთჰოვენის "ფიდელიოდან", შტრაუსის "ვარდების კავალერიდან" და ვერდის "აიდადან".

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ დღის წესრიგში დადგა თეატრის განახლება. ვენაში დღემდე ახსოვთ, რაოდენ დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია წარმოდგენილმა პროექტებმა. საბოლოოდ აღმოაჩინეს ის ვარიანტი, რომელიც ზედმიწევით ახლოს იქნებოდა თეატრის პირველად სახესთან. სწორედ იმ არქიტექტურასთან, რომელიც ფრანგმა არქიტექტორებმა საფრანგეთის იმპერატორის ფრანსუა-ჟოზეფის განკარგულებითა და ინიციატივით 1869 წელს ააგეს.

ამბობენ, რომ თეატრებში სამუდამოდ რჩებიან დიდი ადამიანების ლანდები. 1897-1907 წლებში ოპერას გუსტავ მალერი ხელმძღვანელობდა, 1919-1922 წლებში მას რიჰარდ შტრაუსი შეენაცვლა, 1956-1964 წლებში კი თეატრის ორკესტრის მთავარ პულტთან ჰერბერტ ფონ კარაიანი დადგა. მიუხედავად ყველაფრისა, შთამბეჭდავი ისტორიები და ტრადიციები არ არის "შტატსოპერის" მთავარი ღირსება. დღეს მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს ბატონი ჰოლენდერი ხელმძღვანელობს. ყოველწლიურად ვენის თეატრის სცენაზე 50 საოპერო სპექტაკლი და 20 საბალეტო წარმოდგენა იდგმება. რომ აღარაფერი ვთქვათ თეატრის საერთო საშემსრულებლო დონეზე, მხოლოდ განხორციელებული სპექტაკლების რაოდენობის თვალსაზრისითა და მათი მასშტაბურობით "შტატსოპერა" მსოფლიო დონის რეკორდს ამყარებს.



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 388210, 388220, ფაქსი: 331939, E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს "გლობალური ფონდის" პროექტის "*აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში*" (პროექტი: N-GEO202-G01-H-00), "*მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2004-2006 წლებში*" (პროექტი: N-GEO304-G02-M-00) და "*DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში*" (პროექტი: N-GEO-405-G03-T) პროგრამის ფარგლებში ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებისა და ინვენტარის (სამედიცინო დიაგნოსტიკური აღჭურვილობა და ინვენტარი საგარანტიო-სერვისული მომსახურებით) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი).

3. შესყიდვის ობიექტია:

| ლოტი N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა (ცალი /კომპლექტი) |
|---|---|---|
| ლოტი I | [illegible] Real Time PCR [illegible] 480 [illegible] | 1 კომპ. |
| ლოტი II | [illegible] | 2 კომპ. |
| ლოტი III | [illegible] | 1 კომპ. |
| ლოტი IV | [illegible] HIV [illegible] | 1 კომპ. |
| ლოტი V | [illegible] | 1 კომპ. |
| | [illegible] | 1 კომპ. |
| ლოტი VI | [illegible] | 1 ც. |
| | [illegible] | 1 კომპ. |
| ლოტი VII | [illegible] | 1 კომპ. |
| | [illegible] | 1 კომპ. |
| | [illegible] | 4 ც. |
| | [illegible] | 1 ც. |
| | [illegible] | 2 ც. |
| | [illegible] | 1 კომპ. |
| | [illegible] | 3 ც. |
| | [illegible] | 1 კომპ. |
| | [illegible] | 1 ც. |
| | [illegible] | 3 ც. |
| | [illegible] | 5 ც. |
| | [illegible] | 30 ც. |
| | [illegible] | 10 ც. |
| | [illegible] | 4 ც. |
| | [illegible] | 20 ც. |
| | [illegible] | 200 ც. |
| ლოტი VIII | [illegible] | 4 ც. |
| | [illegible] | 4 ც. |
| | [illegible] | 4 კომპ. |
| | [illegible] | 5 ც. |
| | [illegible] | 2 ც. |

4. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს 6 კვირისა.

მიწოდების პირობა: "DDP - მიწოდების ადგილი", მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და მისამართის შესაბამისად: ქქ-ბი თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებიული ასლი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 6 დეკემბრის 10:00 საათიდან 7 დეკემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება და ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

6.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი, ფაქსი, E- Mail;

ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია სერვისული/საგარანტიო მომსახურების პირობების შესახებ (გამოცდილებისა და კადრების კვალიფიკაციის მითითებით);

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას მე-6 მუხლში აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 8 დეკემბრის 10:00 საათიდან 9 დეკემბრის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

10. პრეტენდენტს უფლება აქვს წარადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო გულუა, ნინო მდივანი, დავით აბდუშელიშვილი მისამართზე ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, ტელეფონი: 388210, 388220, ფაქსი: 331939.

# სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

კომპანია "BP"-ს მილსადენის პროექტების ფარგლებში და "BP"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის მოკლევადიანი თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში "BP"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "BP"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა**

სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი პასუხისმგებელია, დახმარება აღმოუჩინოს კომპანიაში მომუშავე პერსონალს სხვადასხვა სახის პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის მიზნით, როგორიცაა Microsoft Windows 2000, Microsoft Office 2000 Professional, მათ შორის Word, Excel, Power Point და MS Access.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა**

IT ინჟინრის ზოგადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
2. სამუშაო ადგილის ოპერაციული სისტემისა და ადგილობრივად ინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება.
3. უახლესი ვერსიის კლიენტ-პროგრამების ინსტალაცია, ტესტირება, კონფიგურაცია და მომსახურება
4. ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალირება და კონფიგურირება საჭიროებისამებრ ყველა სამუშაო ადგილზე.
5. სამუშაო ადგილებზე ოპერაციული სისტემების თავდაპირველი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
6. დახმარების აღმოჩენა ჯგუფის წევრებზე პროგრამებით სარგებლობაში და ოფიციალური და არაფორმალური ტრეინინგების ჩატარება.
7. დაეხმაროს მომხმარებლებს ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში საჭიროებისამებრ სხვა ჯგუფებთან შეთანხმებით.
8. განახორციელოს სხვა მოვალეობები საჭიროებისამებრ.

**გამოცდილება და განათლება**

სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

1. სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის სფეროში
2. ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების უმაღლეს დონეზე ფლობა
3. უნდა გააჩნდეს მოტივაცია და ოფისის მომთხოვნ და დინამიურ გარემოში მუშაობის უნარი
4. ადამიანებთან კომუნიკაციის შესანიშნავი უანრ-ჩვევები
5. პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, დამატებითი სამუშაოს შესრულებისათვის მზადყოფნა
6. სისტემატიურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისების და ეფექტურად გამოყენების უნარი
7. **დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება:** სტრუქტურული და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
8. **ზეგავლენა:** პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
9. **სამუშაოს კომპლექსურობა:** სხვადასხვა სახის დავალებების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირი კონსულტაციის გარეშე.
10. **აუცილებელი უნარ-ჩვევები:** შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, განაწილების და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური ურთიერთობის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.
11. **საინფორმაციო ტექნოლოგიების ზოგადი ცოდნა:** IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდიკის, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც მიიღებთ იმავე მისამართზე. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2005 წლის 30 ნოემბერი, ოთხშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38
BP საქართველო
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
**კადრების განყოფილება**

bp btc SCP South Caucasus Pipeline

აქსისი AXIS ნარკომანიის წინააღმდეგ

# ჭოლას ახალი თეატრი

## დეპრესიული მონოლოგები

სოფო კილასონია



*თეატრალურმა სარდაფმა რუსთაველზე ახალი და რიგით მე-8 სეზონი დაიწყო. თეატრმა, რომელმაც რვა წლის წინ პატარა, თბილისური გადატრიალება მოახდინა, ახლა განახლებას განიცდის. მას შემდეგ, რაც ვაკის სარდაფი გაიხსნა, მის წინამორბედში პროცესები ინერციით მიმდინარეობდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ლევან წულაძე სახლს დაუბრუნდა და წლევანდელი თეატრალური სეზონის რუსთაველზე გატარებას აპირებს. დღეს დილას ლევან წულაძე და მისი სპექტაკლი "ფაუსტი" საფრანგეთში გაემგზავრნენ. გასტროლები, რამდენიმე ქალაქს მოიცავს, თუმცა სანამ რეჟისორი ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და მართლაც ძალიან საინტერესო წარმოდგენას ფრანგებს გაუზიარებდა, თბილისში პრემიერა გამართა. 19 და 20 ნომებერს ჭოლამ ნინო ბასილიას "ლიფტიორი" გვიჩვენა და საკუთარი გეგმებიც გაგვიმხილა.*

"პატარა სარდაფი" გარემონტდა, მაგრამ მხოლოდ თეთრად შელესილი კედლები არ არის მისი განახლების მაუწყებელი. რეჟისორი ლევან წულაძე ლაბორატორიულ მუშაობას იწყებს და დამოუკიდებელი თეატრებისთვის დამახასიათებელ კომერციულ მისწრაფებებს გვერდზე დებს. როგორც თავად მითხრა, ეს სარისკო საქმეა, შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ გადაწყვეტილება ნამდვილად დროულია. თუმცა მთავარია ექსპერიმენტულმა მუშაობამ ფორმალური ხასიათი არ იქონიოს, მთავარია მაყურებელმა, რაღაც განსხვავებული სტილის გარდა, სრულიად ახალი თეატრის ხმა გაიგონოს და მისი მოსმენა ისწავლოს. ამის მიღწევა რთული იქნება, მაგრამ მოსალოდნელი შედეგი ამად უნდა ღირდეს.

"რატომ დავიწყე ახალი ფორმების ძებნა? მე მოსალოდნელი გავხდი, ე.ი. ეს უკვე საჭიროა, თანაც ალაბათ იმიტომ რომ გავთამამდი," - გვითხრა ლევან წულაძემ. მოსალოდნელი და ნაცნობი ნამდვილად გახდა, მაგრამ არა მარტო ის, არამედ თეატრალური სარდაფის მთელი შემოქმედებითი ჯგუფი - მსახიობებით დაწყებული, ქორეოგრაფით დამთავრებული. მათი შეცვლა და "განახლება" კი მხოლოდ ლევან წულაძის უკვე განსხვავებული საქმისადმი დამოკიდებულებით არ მოხდება.

19 და 20 ნოემბერს სარდაფმა ახალი სპექტაკლი წარმოგვიდგინა, სპექტაკლი, რომლითაც ჭოლას ძიება, შექმნას განსხვავებული სპექტაკლი, პრინციპში დასანახი გახლდათ. რეჟიროსორის ყურადღება ამ შემთხვევაში ქართველ ავტორზე შეჩერდა. არაერთხელ გვითქვამს, რომ თანამედროვე ავტორების და თანაც ქართველების წინ წამოწევა ჩვენს თეატრს ძალიან წაადგება, მაგრამ აქ პატარა და შეიძლება მოზრდილ გაუგებრობებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ნინო ბასილიას "ლიფტიორი" ვფიქრობ, ნამდვილად არ არის ის პიესა, რომლითაც სარდაფის ლაბორატორიას მუშობა უნდა დაეწყო, მუშაობა გასაგებია, მაგრამ მისით პრეზენტაცია? – ვეჭვობ. როცა სცენაზე მოწყობილ ლიფტის მსგავს კოლოფში ერთი მსახიობი, მაკა შალიკაშვილი დაჯდა და საუბარი დაიწყო, როცა 20 და 30 წუთი გავიდა, ერთობ უცნაური კითხვა დაიბადა. რა სურდა ამ ბანალური ტექსტების ავტორს ამ ყველაფრით ერქვა? ყველაფერი ძალიან გასაგები იყო: ლიფტი, ლიფტიორი ქალი, თანაც დეპრესიული, თანაც ფეხმძიმე; საუბრები - თუ როგორ სურს, რომ თავი მოიკლას; მერე რაღაც, ლიფტში გათამაშებული უჩვეულო ამბავი: საზარელი მკვლელობა, ახალგაზრდა მანიაკი მამაკაცი, შიშის ნიადაგზე ქალის იქვე მშობიარობა და ბოლოს, უკვე მწვავე ნერვოზის ფონზე, მანიაკის გამოსალმება სიცოცხლესთან. ყველაფერი ძალიან მსგავსი, მსგავსი იმ "უცნაური" ფილმებისა, ამ ბოლო დროს ჰოლივუდელი რეჟისორები რომ იღებენ, მერე კი "განსხვავებული" სტილის ხელოვანებად რომ მოაქვთ ხოლმე თავი.

რაც შეეხება თავად მსახიობებს. სპექტაკლის შედგომ რეჟისორმა საკუთარი ახლებური მუშაობის პრიორიტეტად მსახიობი დაგვისახელა. სავარაუდოდ, ისე როგორც "ლიფტიორში", სარდაფის სხვა ახალი სპექტაკლების ავანსცენაზე მისი კარგად ნაცნობი არტისტები წარდგებიან, და რატომ კარგად ნაცნობი: მათი ერთობ თვალნათელი ნიჭიერების მიუხედავად, მათ მიერ შექმნილი ტიპაჟები ხშირად განმეორებადია, იქმნება იმის შთაბეჭდილება, რომ პიესებსა და რეჟისურას მსახიობები ირგებენ და არა პირიქით. გუშინდელ საპრემიერო წარმოდგენაშიც ზუსტად იგივე მოხდა, რაც საერთოდ ხდება ხოლმე. მაკა შალიკაშვილთან ერთად, ასევე ახალგაზრდა მსახიობი სანდრო ჯანგირაშვილიც თამაშობდა. თუმცა მთავარი წარმოდგენაში ქალბატონია. მაკა შალიკაშვილი, შეიძლება ითქვას, თეატრის სახედ იქცა ამ ბოლო დროს. მას ეკუთვნის წამყვანი როლები არაერთ სპექტაკლში. არის საინტერესოდ გადაწყვეტილი სახეები, მაგრამ მასთან მაინც ყოველთვის ერთი გარკვეული ადამიანის ტიპაჟი ასოცირდება: ნერვიული, სადღაც უზრდელი, დაკომპლექსებული, ვითომ ორიგინალური და მომენტებში საცოდავი ახალგაზრდა ქალის ტიპაჟი. ამ თვალსაზრისით მისგან "ლიფტიორში" ახალი არაფერი ყოფილა.

მსახიობისთვის შექმნილი წარმოდგენა, ალბათ, რეჟისორისა და მისი "მორჩილის" ურთიერთობების ნაირფეროვნებაზე უნდა იყოს აგებული. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენა ერთი მსახიობის მონოლოგია მხოლოდ, მაშინ აქ შაბლონური და გაცვეთილი საკითხები იწევს წინ: არტისტის ოსტატობა, მეტყველება. როცა სპექტაკლი თეატრალურ საშუალებათა მინიმალიზმისკენ მიისწრაფვის, მაშინ დრამატურგიული ნაწილი ხდება ყველაზე თვალსაჩინო. "ლიფტიორში" კი ამ ორივე მხარეს გარკვეულ სიღარიბესთან მივყავართ.

სარდაფის საპრემიერო წარმოდგენა ნაწილებად დავშალე, მაგრამ სხვაგვარად ამ შეთხვევაში არ გამომივიდა. ამიტომ რეჟისურაც ცალკე უნდა აღვნიშნო. მიუხედავად იმისა, რომ ლევან წულაძეს სცენაზე "ფართოდ გაშლა უყვარს", წარმოდგენების მდიდრულად მორთვა-მოკაზმვა, ახალი თეატრის ძიებაში იგი სამ თეთრ კედელს შორის მოექცა. მაგრამ, სარდაფში გაჭედილ ლიფტში გია მარღანიაც შეიპატიჟა და გია გაგლოშვილიც, თავისი მრავალფეროვანი მუსიკალური გაფორმებით. მოკლედ, ცეკვაც იყო და სიმღერაც. იყო კიდევ ვიდეო კადრები, რომელიც ერთის მხრივ საინტერესო მიგნება გახლდათ სპექტაკლში და მეორეს მხრივ მათ ლიფტის კარი ფართოდ გააღეს "კოსმოსისაკენ და ნათქვამი ტექსტების მარადიულობისთვის."

ლევან წულაძეს მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ სარდაფი რუსთაველზე რაღაც ახალს ისევ დაუდებს სათავეს. მისი შემართება და თუნდაც ეს ახალი სპექტაკლი ამის მცდელობებს, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ავლენს. გადაწყვეტილება მისასალმებელია, მაგრამ კიდევ არის საკითხი, რომელიც არცთუ ისე უმნიშვნელოა. მაყურებელი, დავაკონკრეტოთ: სარდაფის მაყურებელი – ეს ხომ უკვე კარგად ჩამოყალიბებული ფენომენია. სარდაფი და მისი გარემო ერთგვარი ბრენდი გახდა გარკვეული, შესაძლოა ელიტარული საზოგადოებისთვის, პარლამენტარებისთვის, მინისტრებისთვის, რომლებიც რა ხანია, სარდაფის არც ერთ პრემიერას არ აკლდებიან. ამ თეატრების რეპერტუარს კი დიდი ხანია, რაც ავანგარდად აღარავინ აღიქვამს. შესაძლოა ამის პრეტენზია არც არავის გააჩნია. რამდენად აჰყვება "ახალ სარდაფს" მის მიერვე განებივრებული მაყურებელი, რომელიც შაბათს საღამოს არც ისე კმაყოფილი წავიდა, ძნელი სათქმელია. შესაძლოა რეჟისორმა რომელმაც: "ახალგაზრდები და საზოგადოება რამდენიმე წლის წინ თეატრს დაუბრუნა", საკუთარი მაყურებლის ხელახლა აღზრდა მოახერხოს. თუმცა რა და როგორ იქნება, ამას დრო გვიჩვენებს.




## მაიკლ ჰენეკე - ევროპული კინოს ფავორიტი




სამი დეკემბერი ევროპული კონოინდუსტრიისთვის განსაკუთრებული თარიღია. ამ დღეს ევროპული კინოაკადემიის 1 600 წევრი, საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს, ვინ გახდა საუკეთესო რეჟისორი, მსახიობი და ამ წლის ევროპული ფილმის საუკეთესო ქმნილება.

ნომინირებული ფილმების ჩვენება ოთხიდან თორმეტ ნოემბრამდე სევილიაში მიმდინარეობდა. მათ შორის არაერთი ცნობილი და უკვე მყარი რენომეს მქონე რეჟისორების ნამუშევრები განიხილეს. მიუხედავად საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანისა, ევროპული პრესა და კრიტიკა ყველაზე ხშირად მაიკლს ჰანეკეს ფილმის, "დამალულის" შესახებ საუბრობს. შვედი რეჟისორის ეს ახალი ფილმი ჟიურიმ თითქმის ყველა ნომინაციისთვის დაასახელა. საუკეთესო რეჟისურისთვის მაიკლ ჰენეკე წელს მეშვიდედ დაასახელეს, თუმცა, როგორც ჩანს, 2005 წლის დაჯილდოება მისთვის ყველაზე რეალური შანსია.

"დამალულის" მთავარი როლების შემსრულებლები ჯულიეტ ბინოში და დანი ოტეი გახლავთ. ფილმის სცენარი თავად რეჟისორს ეკუთვნის, მონტაჟი ნადინ მუსეს. ყოველი მათგანი მათთვის შესაბამის ნომინაციებში დასახელდნენ. თუ კინოაკადემიის ამ ფილმისადმი წინასწარ განწყობასა და დადებით შეფასებას გავითვალისწინებთ, გადამღები ჯგუფი 3 დეკემბერს გულდაწყვეტილი ნამდვილად არ უნდა დარჩეს.

## ლენონის მკვლელმა თავი ჯვაროსნად გამოაცხადა

მარკ ჩემპენი, რომელმაც 25 წლის წინ ჯონ ლენონი მოკლა, მიიჩნევს, რომ "ჯვაროსნების მსვლელობაში" მონაწილეობდა. ის "თეთრ მებრძოლად" მოიხსენიებს თავს და ამბობს, რომ მკვლელობა საკუთარი "მეს" პოვნაში დაეხმარა.

1991-1992 წელს ვიდეოფირზე ასახული და აქამდე გამოუქვეყნებელი მარკ ჩემპენის აღსარება საპატიო ადგილს დაიკავებს დოკუმენტურ ფილმში, რომლის ტრანსლაციასაც ტელეარხი NBC მუსიკოსის გარდაცვალების დღეს გეგმავს.

"ვერაფერი შემაჩერებდა, ეს ყველაფერი ჰგავდა მატარებელს, ექსპრესს, რომელიც გაჩერებების გარეშე მიქრის," - ახსნა თავისი განწყობა მკვლელმა. "მახსოვს, იატაკზე ვიჯექი და უცებ ჩემს თავს ვკითხე: რა იქნება, რომ მოვკლა? იქნებ ასე მაინც ვიპოვო საკუთარი თავი?" მკვლელის თქმით, იმ დღეს, როცა ლენონის ლიმუზინი დაინახა, რაღაც ხმა მოესმა, რომელმაც ჩასძახა: "გააკეთე ეს! გააკეთე!"

ჯონ ლენონს ზურგიდან ესროლეს. 1980 წლის 8 დეკემბერს ის სახლის სადარბაზოსთან ხუთი ტყვიით მოკლეს. ჩემპენს, რომელსაც მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე ლენონმა ფირფიტაზე ავტოგრაფი დაუტოვა, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

**ყურადღება!**

რესტორანი **"დაკარგული სამოთხე"**

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207

**მანუჩარ მელაშვილი ღრმა მწუხარებით იტყობინება მისი დის**
**შორენა მელაშვილის**
**გარდაცვალებას**
**დაკრძალვა სამშაბათს, 22 ნოემბერს, 15 საათზე**
**მისამართი: ქ. თბილისი, ბუხაიძის ქ. 15**

შვილი ეკატერინე პაპავა, შვილიშვილები ელენე პაპავა, იავნანა და ანდრია კარბელაშვილები, სიძე გიორგი კარბელაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანზორ პაპავა**

**პანაშვიდები: 20-21 ნოემბერი, 16.00 საათი**
**გამოსვენება: 22 ნოემბერი, 14.00 საათი**
**მისამართი: თბილისი, ცაბაძის 15**

**ანდრე და იავნანა კარბელაშვილები, ოჯახებით, მწუხარებას გამოთქვამენ ანზორ პაპავას გარდაცვალების გამო.**

ჯი პი აი ჰოლდინგი
GPI HOLDING
ნარკომანიის წინააღმდეგ